

მ. გ. ჯანაშვილი.

უკვე დაკთა

# ლალაღეზანი

ტფილისი

სტაბა მ. შარაძისა. გამბ., ნიკ. 21

1900 წ.



ს კ ვ დ ა ვ თ ა

# ლაღაღებანი

გამომცემი

მ. გ. ჯანაშვილისა

38044



თფილისი

მ. გ. ჯანაშვილისა წ. ანაწილი. 21.

1900 წ.



Дозволено цензурою, Тифлисъ  
8-го Декабря, 1899 года.

## უკვდავთა ღალღუბანი

ა. წმ. ნინოს სწავლა.

კურთხეულ არს ღმერთი და მამად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოაგლინა სიტყვად წმიდად მისი ცათა მაღალთადათ, თვთ ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქვეყანად მდაბლად, უეჭუელად შობად კორციელად თესლისაგან დავითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წმიდისაგან და უბიწოხსა, რომელი სათნო ეყო მას, და ამით მიზეზითა ცხორებად ჩვენი შექმნა და ყოველი ცასა ქვეშე მყოფი განანათლა, და უმეტეს მისა მიმართ მორ-

წმუნენი აცხოვნა, რამეთუ იშვა, ვითარცა კაცი, პატივ ეცა ვითარცა ღმერთსა, ნათელ იღო ვითარცა მსახურმან ვინმე შჯულისამან წყლისა და სულისაგან; ხოლო მამით და სულით წმიდით ზეგარდამო იწამა და იდიდა, ჯვარს ეცვა, დაეფლა და აღდგა, აკდა მათვე სიმაღლეთა მამისათანა, და მომავალ არს დიდებითა, რომელსა შვენის გალობაჲ ამენითა.

### ბ. ვედრება მისივე.

უფალო, უფალო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვნეს შენ მტერნი ესე, და ესე არს დიდითა სულგრძელებითა შენითა, და იქმან, რასაცა იგონებენ მტვერნი ესე და ნაცარნი ქვეყანისანი; არამედ ნუ უგუ-

ლებელს ჰყოფ, რამეთუ ხატეი შენი  
არს კაცი, რომლისათვის ერთი სამე-  
ბისაგანი კაც იქმენ და აცხოვნე ყო-  
ველი სოფელი; ამათცა ნათესავთა  
მოხედენ და შეჰრისხენ სულთა ამათ  
უჩინოთა სოფლის მპყრობელთა, მთა-  
ვართა ამის ბნელისათა, და მიჩვენე  
მე, ღმერთო, მამისა და დედისა ჩე-  
მისაო, მკევალსა ამას, ნაშობსა ეო-  
ნისა შენისასა, რათა იხილონ მაცხო-  
ვარებაჲ შენი ყოველთა კიდეთა ქვე-  
ყანისათა, და რათა ჩრდილოჲ ბლუ-  
არსა თანა იხარებდეს, და ყოველმან  
ენამან შენ მხოლოსა ღმერთსა თავყ-  
ვანის გცეს ქრისტე იესოჲს მიერ,  
ღვთისა ჩვენისა, რომელსა შენის მა-  
დლობით დიდებისა შეწირვაჲ აწ და

მარადის და მერმეთა მათ საუკუნეთა  
ამენ.

### გ. წმ. შირიან შეფის ვედრება.

უფალო იესო ქრისტე, რომელი  
გვრწამ ტყვისა ამის (ნინოს) მიერ და  
გვასწავეს მღდელთა ამათ შენთა, შენ  
იესო ქრისტე, რომელმან თავი თვისი  
დაიმდაბლე და ხატი მონებისაჲ შთა-  
იცვ სიმდაბლითა შენითა, რომელი  
გარდამოჰხედ კურთხეულთაგან წიაღ-  
თა მამისათა, რომელმან დაუტევენ  
ჩვენთვის საყდარნი, უფლებანი და  
ძალნი, და დაემკვიდრე საშოხა წმი-  
დისა ქალწულისასა, და მერმე ჯვარს  
იცვ პონტოველისა პილატესზე, დაე-  
ფალ გულსა ქვეყანისასა, და მესამესა  
დღესა ასდევ, და აღასრულე ყოვე-

ლივე თქმული წინასწარმეტყველთაჲ,  
აღჰმალლდი ზეცად და დაშჯედ მარ-  
ჯვენით მამისა, და მერმე მოსლვად  
ხარ განშჯ.დ ცხოველთა და მკვდა-  
რთა და დაგვიტევენ ჩვენ ნიში ჯვრი-  
სა შენისაჲ დასარღვეველად უხილავ-  
თა მანქანებათა მტერისათა, ხოლო  
ჩვენ მოშიშთა შენთა მოგვიღების  
სასწაულად, რათა განვერნეთ პირსა  
ეშმაკისასა, რომლისაგანაცა წარყვე-  
ნულ ვიყვენით, ხოლო აწ შენ, უფა-  
ლო ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო,  
ინებე გამოცხადებაჲ ადგილისაჲ, რო-  
მელსა აღვჰმართოთ ნიში ჯვრისა შე-  
ნისაჲ, რათა იხილონ მოძულეთა ჩვე-  
ნთა და ჰრცხვენოდის, რამეთუ შენ,  
უფალო, შემეწიე ჩვენ და ნუგეში-  
ნის-მეც ჩვენ.

მიჩიან მეფე იყო თანამედროვე და თანამოღვაწე წმ. ნინოსი. ახალი სჯული — ქრისტიანობა ირწმუნა მის შემდეგ, როდესაც თავის მამა-პაპათა წიგნს „ნებროთიანში“ ნახა ძველი გადმოცემა მაცხოვრის დაბადებისა და განკაცების შესახებ. წმ. მიჩიანმა თავის მეუღლის ნეტარის ნახას დახმარებით ააკო რამდენიმე ტაძარი (ორი მცხეთაში, ერთი ბოდბეში წმ. ნინოს საფლავზე და სხ.) და დანიშნა ეპისკოპოსები და მთავარ-ეპისკოპოსი. ამ წმიდა მეფემ საუკუნოდ მიიძინა 342 წელს და მიძინების წინაღ თავის

შვილს ბაკურს დაავაჯა მთელს  
კავკასიაში აღმოეთხურა კერპთაყუა-  
ნისმცემლობა. წმ. ნინო † 338 წ.  
(ნინოს ცხოვრება იხ. ჩვენს წიგნში:  
„Ист. груз. церкви. Книга I“).

დ. ლალადება წმ. პეტრე (მურ-  
ვანოზ) ქართველისა.

‡ ნეტარო და წმიდარო მამარო ესაია,  
შენ ღღეს მოჰკუჰდ და შემდგომად  
მცირედისა მეცა მოსიკუდიდ ვარ, არა-  
მედ აწ ნუ დასცხრები მეოხებად ჩუ-  
ჲნთვის წინაშე წმიდისა სამებისა.

(მისივე დარიგება): შვილნო ჩემნო  
და ძმანო და საყუარელნო ქრისტეს

ღუთისანო. ყოველისა პირველად დაი-  
ცევი, წმიდა და მართალი სარწმუნო-  
ება წმიდისა სამებისა, მოიგეთ სასო-  
ება, სიყუარული, სინდაბლე, სულ-  
გრძელება, მოთმინება და სახიერება;  
შეიტკბეთ გლახაკთ-მოწყალება, სტუ-  
მართ-მოყუარება, ჭ უცხოთა შეიწყნა-  
რებდით ჭ განუსუბნებდით; ყოველნი-  
ვე შურებოდით შრომასა სულიერსა ჭ  
საღუთოსა. ყოველნივე ბაძევდით სა-  
ღუთოთა და წმიდათა კაცთა. ყოვე-  
ლთა კეთილნი საქმენი და სათნოება-  
ნი წმიდანი მოიგენით, წინამძღუართ  
დაემორჩილენით, ვითარცა ღუთისა  
ანგელოზთა, და სიტყუათა მათთა და-  
იმსხვედით, ვითარცა პირისაგან ღუ-  
თისა გამოსრულთა.

მურვანოზი იყო მეფე ბაკურის (379 — 393 წ.) შვილი. ბერძენთა და სპარსთ შორის მტრობა ჩამოვარდა. რამე ქართველები სპარსებს არ მიმხრობოდნენ, იმპერატორმა თეოდოსი მცირემ ჩვენი მეფისაგან მოეკვალა ითხოვა. მეფემაც გაუგზავნა 12 წლის მურვანოზი და მას გააყოლა სხვა სეფე წულებიც. მურვანოზმა ისწავლა ბერძული ენა და ფრიად გამეცნიერდა. კონსტანტინეპოლიდგან იგი ღინმე იოვანესთან ერთად წავიდა იერუსალიმს და იქ მრავალი იღვანა ქართველთა მლოცავთა სახეუკემოდ. თვისის სიბრძნითა, წმი-

და ცხოვრებითა და სასწაულებით  
შიიქცია საერთო უურადლება. მას  
ჭსურდა მეუღროდ ეცხოვრა სადმე  
უდაბნოში, გარნა აიძულებს და მა-  
იუმის ეპისკოპოსად დანიშნეს. მა-  
იუმელები ეუბნებოდნენ პატრიარქს:  
„ჩვენ სხვა ეპისკოპოსი არ გვინ-  
და, თუ არა წმ. პეტრე (მურგანოზ)  
ქართული.“ პეტრეს ცხოვრება აღ-  
წერა მისმავე მოწათვე ზაქარიამ ასუ-  
რთა ენაზედ, შემდეგ ითარგმნა  
ქართულადაც (იხ. ვრცლად ნ. მარ-  
რის თხზულება: „Житіе Петра  
Ивера царевича-подвижника и  
епископа майумскаго V вѣка“  
(Справослав. цалест. сборникъ,  
т. XII, вып. 2).

ე. აღსარება წმ. რაედენ წამებულისა.

მე ქრისტიანე ქმნილ ვარ და დამიტევებიეს მამული უღმრთოებაჲ და არღარა თაყვანისვცემ ცეცხლსა შემწველსა, არცა მხესა კაცთათვის სამსახურად დაბადებულსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან ჰქმნა ცანი და ჰვეყანა და ყოველი რაჲ არს მათ შინა ხილულნი ანუ უხილავნი, რომელსა აქვს უკვდავება, დამკვიდრებულ არს იგი ნათელსა შინა თვალშეუდგამსა, რომელი იგი არავინ იხილა, ვერცა ხილვად შემძლებელ არს; ესე არს ღმერთი ჩვენი, რომელსა მე შევემეცნე, სამგვამოვანებით დიდებული და ერთ-ღვთაებით აღსაარებული,

რომელი უკანასკნელთა ამათ ეამთა მოვიდა ხსნისათვის კაცთა ნათესავისა, ერთი წმიდისა სამებისაგანი ხორციელ იქმნა, და დაემკვიდრა ჩვენ შორის და იქმნა მსგავს კაცთა, თვინიერ ცოდისა, და ყოველთავე განგებულება ცხოვრებისა ჩვენისა აღასრულა, და უკანასკნელ ჯვარსეცვა, და მოკვდა ბუჩებიტა ჩვენითა, და ჩვენ უკვდავება მოგვანიჭა, და დაეფლა, და აღსდგა მესამესა დღესა, და ამალღდა ზეცად მუნვე წიაღთა, ვინა იგი გარდამოხდა, მჯდომარე არს მამისა თანა. და კვალად მოველით დიდებითა ღვთიერ-მეცნიერითა: მაცხოვრად მორწმუნეთა მიხთაჲ და დასჯად მათდა, რომელთა არა რწამს ღვთაება მისი.

წმ. რაჭდენი წამებულ იქმნა სოფელ წრამს (ქართლშია) 504 წელს. სპარსეთის უახლოესი კობად ემტერებოდა საქართველოს მეფეს ვახტანგ გორგასანს; დიდის ლაშქრით შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში და მრავალი ბოროტება ჩაიდინა. ბოლოს მეფე და უახლოესი შერიგდნენ. წმ. რაჭდენის გვამი ვახტანგმა მისვენა ქართლის სოფელ ნიქოზს და დაასაფლავა. მის საფლავზე აგებულ იქმნა დიდი ტაძარი და მაკურთხეველად განწესებულ იქმნა ეპისკოპოსი — „ნიქოზელი“.

ვ. ღვთისმეტყველება  
ვახტანგ გორგასლის მოწამისა.

მეფეთა და ერთა ზედა მოიწვევის  
განსაცდელი და ქირი ღვთისა მიერ,  
ცოდვათა მათთაგან. ოდეს მორწმუნ-  
ნეთა აკლონ მსახურებად ღვთისა და  
გარდაკდენ მცნებათა, მოაწვეს ქირ-  
თა ესე ვითართა ზედა, რომელ აწ ესე  
მოაწია ჩვენზედა. ვითარცა რად მა-  
მად კეთილი სწრთვინ შვილსა კეთი-  
ლად საქმეთა ზედა კეთილთა, და  
უკეთუ არა კეთილად აღასრულებ-  
დეს სწავლასა მამისა თვისისასა, გვე-  
მეს მამად იგი გვემითა და სწავლი-  
თა, რათა ასწავოს ყოველი კეთილი  
და იქმნას საკმარ კეთილისა. ეგრეთ  
გვწვართნა ჩვენ ღმერთმან დამბადე-

ბელმან ცისა და ქვეყანისამან. ამის-  
თვის გვიკმს ჩვენ, რათა ვმადლობ-  
დეთ მოწყალებათა მისთა.

გორგასალი გამეუდა 472 წელს  
და აღესრულა 532 წელს. იგი  
ჯერ ისევ ჩხვილი ურმა იყო, რომ  
მამა მოუკვდა. საქართველო დიდს  
განსაცდელში ჩავარდა. სპარსელებ-  
მა, ოსებმა და ბერძნებმა გლეჯა  
დაუწყეს. ოსები ნავარდობდნენ ქარ-  
თლში და მეფეს მოსტაცეს მცო-  
რე-წლოვანი დაჲ მირანდუსტ. ვახ-  
ტანგი იწოდა მისის სიბრალე-  
ლით. 16 წლისა რომ შეიქმნა,  
მოიწვია ჯაშქარი და ოსების და-

სასჯელად წავიდა. კარნა კალაშ-  
ქრების წინაღ თავისს მეომრებს  
აუხსნა, რამ ღმერთი გვსჯის ჩვე-  
ნის ცოდვების გამო. ვახტანგმა  
შემუსრა ოსნი, უიფჩაუნი, იალ-  
ბუზს შემოუსრა, გადმოვიდა აფ-  
ხაზეთს და სამეგრელოდგან მცხე-  
თას დაბრუნდა. ჩრდილოეთის ვე-  
ლურებმა მოჩილიება აღუთქვეს და  
ტყვედ წაუვანილი მირანდუხტიც  
მოსცეს მეფეს. ვახტანგმა ბევრი  
იღვაწა საქართველოს დიდებისათ-  
ვის და ეკკლესიის განმტკიცებისათ-  
ვის, რამელსაც კათალიკოსი დაუ-  
დგინა (512 წ.). იგი მოიკლა უაენის

ხსრდს მიერ და შეიკაცხა მღწა-  
მეთა შორის. ჭმარხია მცხეთის  
სვეტიცხოველში (იხ. უფრო ვრცლად  
ჩვენს წერილში „გახტანგ გარგა-  
სალი“ („მთაბე“ 1899, № III).

ზ. სიტყვა წმ. შუშანიკ წამე-  
ბულისა.

მე, საყვარელო, აჰა ესერა წი-  
ნს განმზადებულსა მას გზასა წარვალ-  
საუკუნესა; ჭირისა ამის წილ ჩემის  
ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული;  
სატანჯველთა ამათ წილ განსვენებაჲ,  
გვემათა ამათ ჩემთა და თრევათა და  
შეურაცხებათა წილ მივემთხვიო მე  
დიდებასა და პატივსა ცათა შინა  
დაუსრულებელსა, კურთხეულ არს

უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშვი-  
დობით მას ზედა დავსწევ და დავიძინე-

წმ. შუშანიკ იყო მეუღლე რა-  
ნის ერისთავის ვასკენისა. ამ ვას-  
კენმა უღალატა ქრისტიანობას, წა-  
ვიდა უაენის წინაშე, კერპთაუგვანის-  
მცემლობა ირწმუნა და რაღა დაბ-  
რუნდა, შუშანიკს უბრძანა, უარ-  
ეყო სჯული ქრისტესი. იგი არ  
დაემორჩილა: ტკბილს იესოს კერ-  
პზე ვერ გავცვლიო. ვასკენმა სა-  
შინელის გვემითა და წამებით მკ-  
კლა თავისი მეუღლე. იგი შეირა-  
ცხა წმიდათა შორის. მისი გვამი  
დაკრძალულია ტფილისს, მეტე-

ხის ტაძარში. შუშანიკი სცხრფ-  
რობდა მეექვსე საუკუნეში.

ბ. ვედრება წმ. შიო მღვიმე-  
ლისა.

ჟ, იესო სახიერო და კაცთ-მოყ-  
ვარეო, რომელი იშვე წმიდისა ქალ-  
წულისა და ღვთის მშობლისაგან, რა-  
თა აცხრფნე შეცთომილნი ეშმაკისა-  
გან და გამოიხსნე მოსაენი და ღვთად  
და ხორცშესხმულად აღმსარებელნი  
შენნი მანქანებათაგან მისთა. შენ, მე-  
უფეო უფალო, მომეც მე უღირსსა  
ამას მონასა შენსა მოთმინებით დად-  
გრომა ადგილსა ამას შინა, რათა სა-  
თნოდ შენდა აღვასრულნე ნეშტნი  
ესე დღენი ცხორებისა ჩემისანი და

ღირს მყავ მეცა სხვათავე თანა, შენ  
მიერ შეწყალებულთა, ხილვად კე-  
თილთა მათ საუკუნეთა მეოხებითა  
ყოვლად უბრწნელისა დედოფლისა  
ჩვენისა, უბიწოჲსა დედისა შენისათა,  
და დიდებულთა წმიდათა მოციქულ-  
თათა, და წმიდისა მამისა ჩვენისა იოა-  
ნესითა.

### თ. ვედრება მისივე.

წარემართე ლოცვა ჩემი, ვითარ-  
ცა საკმეველი შენ წინაშე, ღმერთო,  
ზოლო აღპყრობანი ხელთა ჩემთანი,  
ვითარცა მსხვერპლი სამწუხრო, დავი-  
დევ მე ნებსით მღვიმესა ამას ქვესკნელ-  
სა ბნელსა შინა, ვინა მოწყალე, ნუ  
გარემიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, ნუ  
სადა ვემსგავსო შთამავალთა მღვიმედ

ჯოჯოხეთისათა, არამედ აღმოიყვანე  
საპყრობილითგან ბორცოტასა სული  
ჩემი აღსარებად სახელისა შენისა, რა-  
მეთუ თმენით დაგითმო შენ, ვიდრე-  
მდის მომხედნე და ისმინო ლოცვისა  
ჩემისა და აღმოიყვანო მე მღვიმისა-  
გან გლახაკობისა ხორცთასა და თი-  
ხისაგან უყისა ბრალთასა.

წმ. შიო ერთი ათცამეტთა მს-  
მათაგანია. ასურეთსა და სომხეთს  
რამ მოედო მწვალებლობა (შექქვ-  
სე საუკ.) და ეაენებმაც რამ შეი-  
წინაქეს ეს მწვალებლობა და მტრო-  
ბა გამოუცხადეს მარტო მარად-  
მადიდებლობას, მაშინ მცხეთის ტა-  
ძარს ფრიად მისჭირდა. ეს რამ

სცნეს კათბადუკიის მოღვაწეებმა,  
ქართლს გამგზავნეს ათცამეტ-  
ნი მამანი, რომელთაც დაიცვეს  
ქრისტეს ღრმისა და დასასეს შე-  
სანიშნავი მონასტრები: ზედაზ-  
ნისა, შიომღვიმისა, მარტყოფი-  
სა, გარესჯისა, მთაწმინდისა, ნეკ-  
რისისა, ხირსისა, იუდათოსი, სამ-  
თავისისა და სხ. უკუდა ეს ტა-  
ძრები შეიქმნენ წმიდა კერად მე-  
ცნიერებისა და კეთილზნეობისა.  
შიოსთან ერთად მოღვაწეობდა წმ.  
ევგერე ბატონიშვილი. დაშთენილს  
მრავალი სიგელ-გუჯარი, რომლებ-  
შიაც წმ. შიო და ევგერე იხსენიები-

ან ღმერთმყოფელ კვართთან, სვე-  
ტიცხოველთან და წმ. დედა ქალაქ  
მცხეთასთან ერთად.

ი. ვედრება წმ. დავით გარეს-  
ჯელისა.

უფალო იესო ქრისტე, ღმერთო  
ჩვენო, საზიერო და კაცთმოყვარეო,  
რამეთუ შეიწყალე მვედრებელი იგი  
შენი, რომელსა ხელი განხმელ ედვა  
და კურნება მიანიჭე მას, აწცა, შენ  
მეუფეო, განჰკურნე ხელიცა საწყა-  
ლობელისა ამის ბარბაროზისა, რომ-  
ელმან სილადით აღიღო მარჯვენე  
თვისი ჩემზედა, უღირსისა ამის მონი-  
სა შენისა, რათა გულისხმა ჰყოს და

გიცნას შენ, ღმერთი მხოლო მოქმე-  
დი საკვირველებათა და ნიშთა, და  
დაადგრეს სახელსა შენსა ზედა უკუ-  
ნისამდე.

წმ. დავით გარესჯული წმ. ში-  
ოს თანამგზავრი იუო. იგი დასა-  
ხლდა ტფილისის გორასზედ, საცა  
ააკო საუდარი (მთაწმინდის ტაძა-  
რი). მას ცილი დასწამა ერთმა  
დედაკაცმა, რომელმაც ამის გამო  
ქვა ჰშვა. იქ, საცა ეს სასწაუ-  
ლი მოჰხდა დავითის მადლით, ააკოს  
ტაძარი — ქვაშუკეთისა. აქედგან და-  
ვითი წავიდა გარეჯის უდაბნოს და  
მრავალი იღვანა და ბევრი მოწა-

ფეხები შეიძინა. გარეჯა ჭბრწყინავ-  
და დიდხანს, გარნა 1616 წელს  
იგი გააჩხრა შაჰ-აბაზმა, ბერები  
ამოწყვიტა და მდიდარი სამწიგ-  
ნობროც გადასწვა. განახლებულ  
იქმნა იმავე საუკუნის კასულს და  
წინამძღვრად დაენიშნა თხოფრე  
მაჭუტაძე. უფლის საქართველოდ-  
გან მოუვიდა მას დახმარება — ფუ-  
ლითა, წიგნებითა, სამოსლითა და  
სხვ. და მალე ისევ გაბრწყინდა  
და გადიდდა. უველაზე შესანიშნავი  
წიგნები, რომელიც-კი ესლა გვაქვს,  
ანუ გადაწერილია გარეჯაში და ანუ  
შეწირულ-ძღვნილია მისთვის.

## ია. ვედრება წმ. ევსტათი მცხეთელისა.

უფალო, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთა გნებავს ცხორება, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახელსა შენსა წმიდასა, რომელმან ისმინე ლოცვაჲ პირველთა მათ მოწამეთა, რომელნი ჰურიათა მახვილითა მოსწყვიდეს, რომელნიმე ყინელითა, რომელნიმე ზღვასა შინა შთაყრითა მოსწყვიდეს, რომელნიმე ცეცხლითა და რომელნიმე მკეტთა მიერ შეიჭამნეს სახელისა შენისათვის და მოიღეს შენ მიერი იგი აღთქმული, რომელი თვალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუკდა, რომელი გა-

ნუმზადე წმიდათა მათ მოწამეთა შენ-  
თა,—მეცა, უფალო, ღირს მეცა მო-  
წაწილე მათ თანა და სამკვიდრებელ-  
სა მათ თანა, სიხარულსა მათ თანა,  
მე, უკანათა უამთა ნარჩევი მოწამე,  
ვითარცა იტყვის პავლე მოციქული:  
„მე ვარო ნარჩევ მოციქულთა“; შენ  
იცოი, უფალო ჩემო იესო ქრისტე, რა-  
მეთუ არა ვიჩიე შენსა არცა მამა,  
არცა დედა, არცა ძმანი, არცა ნათე-  
სავნი, გარნა შენ მხოლო, უფალო,  
შეგიყუარე, და სახელისა შენისათვის  
თავი წარმეკვეთების დღეს. და ამას  
ვილოცავ და გევედრები და ვითხოვ  
შენ სახიერისაგან, რათა არა დაუტეო  
გვამი ჩემი აქა ტფილისს შინა, არა-  
მედ რათა დაიმარხოს იგი მცხეთას  
წმიდასა, სადა იგი შენ გამოძიხნდი,

და რათა აქენდეს მადლი და კურნება  
ძვალთა ჩემთა, ვითარცა იგი პირ-  
ველთა მათ.

წმ. ევსტათი ჩამომავლობით  
სზარსი იყო და სცხოვრობდა მცხე-  
თაში. მის ღრეს (მეექვსე საუკ.)  
ქართლის გამგეობა ებარა სზარსას  
მარზაპანს ვეჟან-ბუზმილს. ამ ვე-  
ჟანმა, სცნა-რა ევსტათი გაქრისტი-  
ანებულად, დაიბარა იგი ტფილისს  
და უბრძანა უარ ეყო ქრისტიანო-  
ბა. ევსტათი არ დაემორჩილა. ვე-  
ჟანმა წამებით მოჰკლა. წმ. გვაში  
მისი წაასვენეს მცხეთას და იქ  
დკრძალებს.

იბ. ვედრება არგვეთის მთავართა

წმ. დავითისა და წმ. კოსტან-  
ტინესი.

ჟ, უფალო ღმერთო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისაჲ მამისაო, ვითარცა ისმინენ თხოვანი ჩვენნი და ღირს გვყვენ წამებასა სახელისა შენისათჳს, შეისმინენ ვედრებანი და თხოვანი ჩვენ მონათა შენთანი, და ვითარცა დავიმარხენით ხორცინი ჩვენნი უხრწნელ და შეუგინებელ სახელისა შენისათვის წმიდისა, ეგრეთვე შემდგომად წამებისა ჩვენისა დაჰმარხენ გვაბნი ჩვენნი განუხრწნელად და დაურღვეველად, და რომელთა ხადონ სახელითა შენითა წმიდითა სახელსა

ჩვენსა, მსწრაფლ ეწიენ წყალობად  
შენი და მიეც შენდობად ბრალთა,  
და ყვენ აღონი ჩვენნი მკურნალ ყო-  
ველთა სენთა და უძლურებათა დი-  
დებად ყოვლად საგალობელისა სახე-  
ლისა შენისა. უფალო ღმერთო იესო  
ქრისტე, ხელთა შენთა შევედრებთ  
სულთა ჩვენთა. ამინ.

აკაბთა დიდი ჯაშქარი რამ შე-  
მოესია საქართველს, აკგვეთის  
მთაფრის შვილები დაგით და კო-  
სტანტინე მედგრად ეომნენ მათ.  
გაჩნა ბოლს იძლივნენ. მტრებმა  
ჭკვემეს და სტანჯეს და შერე  
წყალ-წითელაში ჩაჭყარეს. მათ  
გვამებს ნათლის სვეტი დაადგა.

ქრისტიანებმა ნახეს და დიდის სასრებით დაჰკრძალეს მათი წმ. გვაშები იმავე მდინარის ნაპირას, მოწამეთს. ხოლო ბაგრატ დიდმა († 1014 წ.) მათს საფლავზე ააგო შვენიერი ტაძარი, სადა წმიდანების გვამნი უხრწნელად ინახებიან და იზიდავენ მრავალს მლოცველს საქართველოს ყოველ კუთხიდან, უმეტესად კი იმერეთიდან და სამეგრელოდან. წამება მათი მოჰხდა 730 წელს (იხ. საეკლ. მუზ. ხელნაწერი № 170). მოწამეთა ქუთაისიდან 8 ვერსის მანძილზეა.

## იგ. ვედრება წმ. არჩილ მეფისა მოწამისა.

უფალო ღმერთო, ღირს მყვენ ნა-  
წილსა მკვიდრობისა წმიდათა თანა—  
სუფევასა შინა დაუსრულებელსა—,  
რომელთა იგი სიკუდილითა სანატ-  
რელითაჲ უკუდავება მოიგეს; რო-  
მელნი აკსენებდენ ღუაწლთა ჩემთა და  
სახელითა ჩემ ცოდვილისა მონისა  
შენისათა გევედრებოდინ, აღუსრულე  
ყოველი კეთილი თხოვაჲ მათი, და  
აღავსენ იგინი უზვებითა კეთილთა  
ნიქთა შენთაჲთა.

მეფე არჩილ თითქმის ასის  
წლისა იყო, რამ არაბთა უძლიე-

რესმა ლაშქარმა რბევა დაუწყო ს-  
ქართველას. მეფეს შეეცოდა ერთ-  
და იფიქრა, წავალ მათს ბანაკს და  
ჩემს ერს შევაბრალებ მტერთა  
უფროსსა. წავიდა. არაბთა სხას-  
ლას ჩიჭუმ ასიმს გაუხარდა და  
მეფის შეწყალებას და გამოსტუმრებას  
უნდოდა, გარნა ამ დროს ერთი  
შინაკანი მოღალატე გამოჩნდა: მან  
უთხრა ასიმს, არჩილმა იცის, ს-  
ცა დათვლეს და დამალეს ქართველ-  
თა საუნჯენი. არჩილი არწმუნებ-  
და ასიმს, არა ვიცო-რათ, გარნა  
გერ დაარწმუნა. ასიმმა უბრძანა,  
რახან არ მეუბნები, მაჰმადიანობა

მიიღეო, შეუემ უარ-ჰეო. ასიმმა  
თავი გააკლებინა (718 წ.). მისი წმ.  
გვამი მოასვენეს ერწოს, დაჰკრძაღეს  
ნოტკოარს და ააკეს დიდი ტაძარი  
წმ. არჩილისა, აწ გაახრებუღი.

იღ. ვედრება აბოსადმი

(იოვანე საბანიძისა)

ვითარმე გაქებღე შენ, ღუაწლისა  
შძღეო წმიდაო მოწამეო, რომელ შენ  
ახალი ეგე ქრისტეს მორწმუნე მო-  
ძღუარ ჩუენდა იქმენ, სწავლულნი  
უფროდს გულისხმიერ ჰყუენ, შერყე-  
ულნი უფროდს განამტკიცენ, განმტ-  
კიცებულნი განამხიარულენ.. აწ ვე-  
ვედრებით შენსა ქრისტეს მოყუარე-

ბასა: მეოხმცა ხარ წინაშე მაცხოვრისა  
ყოველთათვის, რომელნი შენ მიერ  
ითხოვენ წყალობასა ქრისტეს ღუთი-  
საგან, რომლისაჲ არს დიდებაჲ და  
პატივი და ძლიერებაჲ თანა მამით და  
ყოვლად წმიდით სულითურთ აწ და  
მარადის ღ ჴკუნითი უკუნისამდე. ამენ.

იოვანე საბანისძე წმ. აბოს თა-  
ნამედროვე იუკ. ამან აღწერა აბოს  
ცხოვრება (820 წელს) საქართველოს  
კათალიკოზის სამოელის ბრძანებით.  
აბოს ცხოვრება საბანიძეს შეუდგენია  
მორწმით, მკათოდ და უადმატე-  
ბულის ენით. მისი ნაწერი საუნ-  
ჯეა ქართულის ენისა.

იე. ვედრება წმ. აბო მოწამისა.

გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო და ღმერთო იესო ქრისტე, რომელმან მომეც საგზლად ჩემდა ცხოვრების მომნიჭებელი კორცი შენი და სიხარულად და განმამტკიცებლად ჩემდა პატიოსანი სისხლი შენი. აწ უწყი, რამეთუ არა დამიტევებ მე, არამედ ჩემთანა დადგრომილ ხარ და მე შენთანა; ამიერიდგან არღარა მოვიდო მე სხუა საზრდელი, რომლითა კვალად მშიოდის და არცა სხვა სასმელი, რომლითა კვალად მწყუროდის, არამედ კმა არს ესე ჩემდა ცხოვრებად საუკუნოდ. აწ, დაღათუ ვიდოდო შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე სიკვდილისაგან, რამეთუ შენ ჩემთანა ხარ.

არაბთა მფლტობელობის ჟამს სს-  
ქართველთს ერის მთავარი ნერსე  
შეხურობილ და ტევედ წაუგანილ  
იქმნა. რადენისამე წლის შემდეგ  
იგი არაბებმა განათავისუფლეს და  
გამთისტუმრეს. მას წამოჰყვა არა-  
ბი აბო, 18 წლის ჭაბუკი. მან  
მალე შეკენიერად შეისწავლა ქარ-  
თული ენა, მწიგნობრობა და ახა-  
ლი და ძველი სჯულის წიგნები.  
გაქრისტიანებაც უნდოდა, მაგრამ  
არაბთა შიშით ვერ გაბედა. ნერსეს  
კვლავ გაურისხდნენ აქაური მფლტო-  
ბელები. იგი სსმასის კაცით ჩრდი-  
ლოეთ კავკასიაში გაიქცა. აბოც თან

გაჭეუვა და იქ მონათლას. ნერსე  
ხაზარეთიძგან აფხაზეთს გადავიდა  
და იქიდან მცხეთას დაბრუნდა.  
აბოას გაქრისტიანება რომ შეი-  
ტყეს არაბებმა, ტფილისის უფ-  
როსთან დააბეზლეს. აბო მიიწვია  
და უბრძანა უარყო ქრისტე. მან  
არა ჰქნა. ამის გამო აწამეს იგი  
და ავლახარის ხილთან დაწვეს.  
მის საფლავზე, მეტეხის კლდის  
ძირში, გამოკვეთილია მცირე სამ-  
ლოცველო. იწამა 756 წელს, 6  
იანვარს.

ივ. გალობა კოსტანტი ქართველისა მოწამისა.

გიგალობ შენ, უფალო, ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო, რომელმან მომეც მე ძალი წინააღდგომად უკეთურისა ამის მსაჯულისა, ვითარცა იგი წინასწარ სთქუ, ვითარმედ: „თქვენ მომცენით გულნი თქვენნი და მე მიგეც ძალი ჩემი“. ღირს მყავ მე ნათელსა პირისა შენისასა, რამეთუ შენდა მოვივლტვი, ქრისტე, ძეო ღვთისაო, და აჰა ესერა მოუძღურებულ ვარ მე ყოველთაგან წარმართთა სახელისა შენისათვის წმიდისა და უფროსდა უსჯულოსა ამისგან მეფისა, და აწ, უფალო ღმერთო ჩემო, შეიწირე მსხვერპლი ესე ჩემი და შეივე-

დრე სული ჩემი ხელთაგან წარმართ-  
თასა და მომბადლე აღთქმა, რომელ  
აღუთქუ, ვითარმედ: „რომელთა აღმი-  
არონ მე წინაშე კაცთა, პატრისცეს  
მამამან ჩემმან“, და, ვითარცა იგი  
ამასვე აღგილსა აღიდენ წმიდანი იგი  
ყრმანი, რომელთა აღგიარეს შენ, და  
მეცა ღირს მყავ მათთანა, რომელი  
ეგე გამოსჩნდი მათთანა მეოთხედ. და  
ვითარცა ესე მე აღგიარებ წინაშე  
უსჯულოსა ამის მეფისა, შენცა, სა-  
ხიერო უფალო, აღმიარე მე წინაშე  
ანგელოზთა შენთა, და ვითარცა იგი  
დღეინდელსა ამას დღესა შინა აღიდე  
ღირსი შენი მოწამე წმიდაჲ გიორგი  
და შეიწირენ შრომანი მისნი და და-  
თხევა უბიწოჲსა სისხლისა მისისა,  
შეიწირენ უნდოცა ესე სისხლნი ჩემ-

ნი, და მომეც მე ნაწილი მისთანა,  
რათა წილმხვდეს რჩეულთა შენთა  
თანა, რამეთუ სამკვიდრებელი შენი  
ღტკიცე არს ჩემდა.

წმ. კოსტანტი ზემო ქართლელი  
იყო, კაცი წარჩინებული, ფრიად  
მდიდარი, კლასხაკთა და ქვრივთ  
მოწყალე და გამკითხავი, მონას-  
ტერთა განმშვენიერებელი. იგი  
წავიდა იერუსალიმს და მრავალი  
უძღვნა იქაურ მონასტრებს და ბე-  
რებს. მოიარა და მოილოცა იორ-  
დანის ნაპირის უდაბნონი და მთე-  
ლი წმიდა ქვეყანა და დაბრუნდა.  
საქართველს განაგებდა ბუღა არა-

ბი, რომელმაც აღადგინა საშინელი  
დევნულება ქართველთა ზედა. კოს-  
ტანტი, რომელიც უკვე 85 წლის  
მონუტი იყო, შეიპყრეს არაბებმა  
და მიჰგვარეს ბუღას, ტფილისს.  
კოსტანტი ქართველობის წინა-  
მძღვრად ითვლებოდა და ბუღაშ  
იგი წარგზავნა ბაბილონს, საცა  
იგი ჰგვემეს, სტანჟეს და თავი  
წარჰკვეთეს 10 ნოემბერს, 849 წ.

იზ. ვედრება წმ. ილარიონ

ქართველისა.

მიძღოდე მე, უფალო, გზათა შენთა  
და ვიდოდე მე კეშმარიტებითა შენითა.

წმ. ილარიონ კახეთის დიდგვარ-  
 რიანი მთავრის შვილი იყო. ღელა  
 ჭყავდა სათნო, ღვთის მცშიში,  
 გლახაკთა და ობოლთ შემწენარე-  
 ბელი. მშობლებმა იგი მიაბარეს  
 ერთ განათლებულ ბერს, რომელი-  
 საგან შეენიერად ისწავლა ძველი  
 და ახალი სჯული. 16 წლისა რომ  
 შეიქმნა, გარესჯას მივიდა. მისმა  
 მკაცრმა და წმიდა ცხოვრებამ მიი-  
 ქცია საერთო უურადლება. მოვიდა  
 ერთი ეპისკოპოსი ახლო საეპის-  
 კოპოსოდამ და იგი ხუცად აკურ-  
 თხა. ილარიონის ღვაწლი ახლა  
 უფრო ნაყოფიერი შეიქმნა. თვის

გარშემო იგი ავრცელებდა კეთილს  
სურნელფანებას მეცნიერებისათ.  
მცირე ხნის შემდეგ მან მოინდომა  
იერუსალიმს წასვლა და წმ. ადგი-  
ლების მოლოცვა. გაიყოლია ერთი  
ძმათაგანი, ზემოთ ადბეჭდილი  
ლოცვით მხურვალედ შეევედრა  
ღმერთს და გზას გაუდგა. ნახა  
იერუსალიმი, იორდანის ნაპირები,  
საბა დიდის ჭაურა, მრავალი სა-  
ფასე შესძღვნა და დაბრუნდა. მისი  
მამა და ძმა ცოცხლები აღარ იყვნენ.  
დედა და დაღ მოლოზნებად აღი-  
კვეცნენ და მონასტერი დააარსეს.  
თვით ილარიონმა უოფუელითური გა-

ვიდა და გარესჯას მივიდა, იქ და-  
ვით გარესჯელის სამარტვილოზე  
ეკლესია ააგო. იგი ეპისკოპოსად  
აირჩიეს, მაგრამ არ ინდომა და  
გაზარდით კონსტანტინეპოლს მივი-  
და, მერე ათონს და იქიდგან წამს.  
დაბრუნდა რა, შეისვენა საუკუნოდ.  
იგი სასწაულებს ახდენდა. ბასილი  
იმპერატორმა (866 — 886 წ.) და  
მისმა სამღვდელთებამ დიდის-დი-  
დებით დაჭკრდალეს მისი გვამი  
მონასტერსა სოსთენას.

ი. მადლობა წმ. გობრონ  
მოწამისა.

გმადლობ შენ, უფალო იესო ქრისტე, რომელმან ღირსმყავ მე უღირსი ესე, და ცოდვილი, და უკანასკნელი ყოველთა, ნაწილსა ამას მკვიდრობისასა და მოწამებისასა, უფალო, სრულყავ მოწყალება შენი და სიტკბოება ჩემდამო, და ნურა დამაბრკოლებნ მიზეზი რაჟვე მანქანება და მძლავრება უსჯულოდსა ამის.

წმ. გობრონ (მიქელ) უველის-  
ციხის გამგე იყო, კაცი ძლიერი და  
ახოვანი. არაბთა მთელბელი აბუფ-

კასიმ განძვინდა სომეხთა მეფეზე, შეესია მის სამეფოს და ააოხრა. მეფე აფხაზეთს გაიქცა. მას გამოდევნა აბულკასიმ და სამცხის ეგულის ციხეს მოადგა. დიდძალი ქართველობა მტრის შიშით შეხიზნული იყო აჭარასა და შავშეთს. ეგულის-ციხეში გობრონს გარდაკიდევ იუვნენ სხვა მეომრებიც. მეციხოვნეთ იბრძოლეს უამრავ მტერთან 28 დღე და ბოლოს მტერმა მოტყუებით გამოიუვანა ციხიდან და გობრონს უბრძანა ერწმუნა მამადი. მან არ ინება. მაშინ უღმობელმა მტერმა სტანჯა და აკუ-

წა ჯერ მისი მეომრები და მერე  
თვით გობრანიც. იგი რამ და-  
ხრმაღეს და სისხლი წასქდა, თი-  
თი გაისისხლიანა და შუბლზედ  
სისხლის ჯვარი გამოისახა და ზე-  
მორე დაბეჭდილი ლოცვა წარმო-  
სთქვა. გობრანის ხსენება მოდის  
17 ნაემბერს.

მისი ცხოვრება აღწერა ფრიად  
განათლებულმა და სახელგანთქმულ-  
მა ტბეთის ეპისკოპოსმა სტეფანე  
მტბეგარმა, რომელი ეპისკოპოს  
იქმნა 918 წელს.

ით. იამბიკო  
იოვანე შინჩხისა

მოკლა უკუდავმან სიკუდილი და  
აღდგა მკუდრეთით, ვითარცა იტყოდა,  
და დასცა სიკუდილისა იგი მიზეზი—  
მტერი, სულთა მკლველი, და განა-  
ნათლა ძღვევითა მქადაგებელნი სას-  
წაულთა მისთანი.

იოვანე შინჩხი ერთი იმ მწე-  
რალთაგანია, რომელთა გალობანი  
შეტანილია მიქელ მოდრეკილის  
მიერ შედგენილს დიდს ნოტები-  
ანს საგალობელში მკათე საუკუნისა.  
(იხ. ქვემოთკე ამისა მიქელ მოდრე-  
კილის სწავლუქნი).

კ. სპადუქნი ქართულნი  
მიქელ მადრეკილისა.

სულმან საღმრთომან, რომელმან  
სიბრძნით დაჰბადნა ცანი მაღალნი ძა-  
ლითურთ და შეჰქმნა ქუეყანად ყოფ-  
ლით თანა მკვდრითურთ, ძელსა ზედა  
უშჯულოთა მიერ ნეთსით დამოეკიდა,  
დაბადებულნი მისგან, ზარგანკდილნი,  
შეძრწუნდეს და ზეცას უკორცონი  
ძრწოდეს, რამეთუ ვერ იტკრთეს ხილ-  
ვად კადრებად იგი ღუთის მკლველთად.

ეს მიქელ მადრეკილი შემდგე-  
ნელია მეთუ საუგუნის ტყავზედ  
ნაწერ საგალობლისა. ერთ ადგილას  
მიქელი სწერს: „შეწეგნითა ღუ-

თისაღთა, რომელი იგი არს მიწვეუ-  
ყოფლისა კეთილისაჲ, მე, კლასაკმან  
მიქელ მოდრეკილმან, ძმისწულმან  
ღმერთშემოსილისა მამისა დავი-  
თისმან, ვიღუაწე და ყოფლით კერ-  
ძა შრომაჲ ვახუენე უზეშთაეს ძა-  
ლისა ჩემისა, და ფრიადითა ხარ-  
კებითა და გულს მოდგინედ ძიე-  
ბითა შევკრიბენ ძლისპირნი ესე  
ყოფლით კერძოვე, რომელნი ვზოვენ  
ენითა ქართველთაღთა: მესურნი,  
ბერძულნი და ქართულნი, სრულნი  
ყოფლითა განგებითა, და დაუწერენ  
წმიდასა ამას შინა წიგნსა ყოფლი-  
თა განმარტებითა და ჭეშმარიტე-

ბითა... და უფუფიერით სრულ  
იქმნა მუშაკობაჲ ესე საღმრთოჲ და  
ლითა და შეწევნითა დიდად სახი-  
რისა მხალცობისა ღუთისაჲთა, რა-  
მელი კურთხეულ არს აწ და მერ-  
მეთა მათ საუკუნეთა. ამინ“ (მი-  
ქელისა და მის შრომის შესახებ  
დაწვრილებითი ცნობა იხ. ჩვენს  
წიგნში „საუნჯე მკათე საუკუნისა“).

კა. იამბიკო

წმ. იოვანე მტბევარისა.

იხარებდით ყოველი დაბადებული,  
რამეთუ ღმერთი გამოჩნდა დღეს კორ-  
ცითა, და ბეთლემს შინა შობილი  
ქუაბსა შინა შეხუებული აცხოვნებს

ადამიანთა და გამოუბრწყინვებს ნათელსა საღმრთოსა. ეჭა დიდებული განსაკვრებელი ახლისა ამის შეერთებისაჲ ჩუენდა, რამეთუ რომელი იგი უხილავ არს, სრულად შეიმოსს კაცებასა ჩუენსა და ჰგიეს უქცეველად ღმრთეებასავე თვისსა.

იოჲანე მტბეჲვარი წმიდანად ითვლება. მისი სახე სხივით გამოსახულია მესამე საუკუნის, საგალობლად ხაზებით დაწერილს, დღეს წიგნში და მასშივე შეტანილია მრავალი დასდებელი და ოხითა წმიდანებისა, ღვთისმშობლისა და ქრისტესი. ტბეთის ტაძრის პირველ ეპისკოპ-

ზოსად იყო სტეფანე მტბევაძე  
(918 წლითგან), რომელიც ფრიად  
განათლებული და ჩინებული მწე-  
რადი იყო.

კბ. საგალობელი წმ. აბოსი.

(მიქელ მოდრეკილის კრებულიდან).

მოწამეთა და მართალთა შორის  
ქებულთ, ეკლესიათა შუენიერთ სამ-  
კაულთ, მარტვილთა სიქადულთ, მე-  
ფეთა სიხარულთ, მორწმუნეთა შემ-  
წეო ახოვანთ მოღუაწეო აბო, ღმერთსა  
ვედრე აწ მონიკებად სულთა ჩუენთა  
დღეს დიდი წყალობაჲ.

კგ. თხოვნა უფლისადმი

წმ. ეფთჳმე მთარგმნელისა.

უფალო, შეიწყალე ეფთჳმე, ცოდვილი მწარედ.

დიდი კაცები საქართველოს მრავალი ჭეუანდა, გარნა ისეთი ღვაწლმოსილი-კი, როგორც წმ. ეფთჳმე, ბევრი არ იყო. მან განაბრწეინა ენა ქართული. მან კლდედ სიმტკიცისა ჭყო ეკლესია ივერთა. მან ევროპის კიდუბედ აღანთო ლამზარი ქართულის აზრისა და აღაგო უბრწნელი გოდოლი ქართ-

ველთა დიდებისა და ათონი შეჭქმნა  
ევროპისკენ გასასვლელ კარად ივე-  
რიელთათვის...

ეფთხე იყო ტაოს მთავრის  
ახულებურის შვილი და სცხვრობდა  
დიდთა და სახელგანთა მეფეთა უამს,  
იმ დროს, როდესაც მეფეთა მეფე  
დავითმა და მისმა შვილებილმა  
ბაგრატ მესამემ გამაერთიანებულმა  
დაუფთვილი და განაწილებული სა-  
ქართველო გააერთიანეს და თვისს  
ძლიერებას დაუმოწილეს შავ ზღვა-  
სა და კასპიის ზღვას შუა მდებარე  
ქვეყანა კავკასიონს გადმოღმა სომ-  
ხით-ბასიან-ჭანეთითურთ.

ახულჭერი იყო ფრიად სახელმწიფო-  
ვანი მეომარი, კანთქმული, ახლანდ  
და მდიდარი. უფულებივე სოფელი-  
რი დიდება დაუტევა, წავიდა ათონს  
(საბერძნეთში) და ბერად შედგა. სა-  
ხელად ეწოდა მას იოანე. ბერძენთა  
და ქართველთა ეკლესია მისს ხსე-  
ნებას დღესასწაულად 14 ივნისს.

ამის შემდეგ მცირე წლოვანი  
ეფთვიმე დარჩა ჰაზის სახლში და  
იგი ზრდიდა მას ფუფუნებითა.  
გარჩა „რამე საქმე“ გამოუჩნდა  
ქალაქ კონსტანტინეპოლეს და იქ  
წავიდა და თან წაიყვანა ეფთვიმეც.  
მივიდა რა კონსტანტინეპოლეს, წარ-

სდგა წინაშე იმპერატორის ნიკი-  
ფორესი და იქვე გამოცხადდა ეუ-  
თვიმეს მამა იოანეც. იოანემ სცნა-  
რა ჩემი შვილი აქ არის, ითხოვა  
იგი. ხელს ვაპყრ დაუთმო.  
შეიქმნა ცილლობა ეუთვიმესთვის და  
ეს ცილლობა დასრულდა თვით იმპერა-  
ტორის შუამავლობით. იმპერატო-  
რმა უბრძანა მცილობელთ: „თქვენ  
არჩივე ერთმანეთის შორი-ახლად  
დადექით და ერმას ეუთვიმეს მიუ-  
წოდეთ და რამეჯათანაც მივს, იმას-  
თან დაშეთეს იგი“. მათ აგრე ჭქმნეს.  
ეუთვიმე სირბილით მივიდა მამას-  
თან და კალთაში ჩაუვარდა. იოვან-

ნეს გაუხარდა ფრიად, წაიუვანა  
შვილი ათონს, ბერად აღკვეცა და  
სწავლა დაწეუბინა. იგი ფრიად  
გონიერი და ნიჭიერი ურმა იყო.  
მალე დაისწავლა ყოველივე და  
„თავსა სიბრძნისსა აღვიდა“.   
წმიდა სულის მადლით სიფრცე  
გულისხმისა და სიბრძნე ისეთი  
ბიეცა, ვითარცა სოლომონ ბრძენსო.  
შემდეგ, ჭასაკად რომ მოიწია, წმ.  
ათანასე დიდმა სქემა შეჭმოსა და  
მერმე ხატვისა მღვდელობისსა  
აღიუვანა. მალე ეუთვიემ ჰიიქცია  
საზოგადო ყურადღება: „ხმაჲ სა-  
თნოებათა მისთა განჰკვდა ყოველ-

სა სოფელსა, რამეთუ წყალთხამან  
ღუთისამან აღგვიდგინა ჩვენ სახლი  
თქრთხირი და მისცა ჰიქსა მისსა  
ენად ცეცხლისად და აღძრა თარ-  
გმანებად წიგნთა საღთთთა, და,  
ვითარცა მდინარითა ედემისადთა,  
მორწყო ქვეყანად ქართლისად, და  
განანათლნა ეკლესიანი, და განავრ-  
ცელა, და განასრულა ნაკლულევა-  
ნებად ენისა ჩვენისად.

„მან ნეტარმან არა დამალა ტუ-  
ლანტი იგი, მოცემული ღუთისა-  
მიერ, არამედ მრავალ წილად აღა-  
თრძინა, და თურიადნი წიგნნი თარ-  
გმანნა მრავლითა ღვაწლითა და

შრამითა, და ვიდრე სიკუდილამდე  
აქა დასცხნა ზატოფსანი იგი ზირი  
მისი საღუთოისა მისგან შრამისა,  
და აქა ხოლო ბერძულისაგან ქარ-  
თულად თარგმნა ღრმანა და ძნად  
სათარგმანებელი წიგნნი, აქამედ  
რადგენნიმე ბერძულადცა ქართუ-  
ლისაგან.

„და სანატრელმან იოანე ნებითა  
ღუთისაღთა და თანა მოღვაწებითა  
წმიდისა მამისა მამისა (ე. ი. ზაზის)  
ეფთვიმესითა აღაშენა მონასტერი  
შვენიერი და შეკრიბა ძმანი სუ-  
ლიერნი. რამეთუ იხილა რად სიმ-  
რავლე ძმათა მიმავალთაღ (საქარ-

თუელოდგან), არღარა ჯერ იზინა  
ჯაჳრასა მამისა ათანასესსა უკოჳაჲ,  
და ვიდრე ჟამ რაოდენადმდე უძლო  
და ძმითა მათ უკოჳითა მადჳაწე-  
ბითა; და ოდეს ჯერ იზინა ღმერთ-  
მან წოდებჳაჲ მისი, მოუწოდა შვილ-  
სა თვისსა (ე. ი. იოანემ იხმო-  
ეუთვიმეჲ) და აკურთხა იგი უკო-  
ჳითა კურთხეუითა, ვითარცა მისცა  
ღმერთმან ზიქსა მისსა, და თაჳადმან  
(=თვითონ) კელთა შინა მისთა  
სუელი თვისი ღმერთს შეჰჳედრა  
(14 იზინის).

ეუთვიმემ დაძარხა წმიდა მამა  
თვისი და მერე მონასტრისათვის

ზრუნვას შეუდგა, გარნა რაოდენიმე  
ხნის შემდეგ მონასტრის წინამძღ-  
ვრება ჩაბარა თვისსავე ნათესავს  
და თვითონ წიგნების თარგმნას შე-  
უდგა. ჯერ მამის სიტყვებზე შეი-  
მას ეთარგმნა რამდენიმე წიგნი  
და მერმეთ ეს რიცხვი თარგმანე-  
ბისა გაგრეგეტ-გასამკეტდა. მის მიერ  
ნათარგმნ წიგნების უმეტესი ნაწი-  
ლი ჩვენ უკვე ხელთ გვექონია და  
განგვიხილავს:

ჩვენ გვაოცებს სილიადე მისთა ნაშ-  
რომთა,  
ჩვენ გვაკვირვებს სინარნარე მისის ენისა,  
ჩვენ გვატკობს ხმა მისის მუსიკისა,  
ჩვენ მაღლობით აღგვაავსებს მისი უებარი  
ღვაწლი.

შრომით იგი ფანკაცა\*) არსებაა,  
ზნეობით იგი უზაკველია და წმიდა,  
მამულის სიყვარულით იგი მაგალითია  
მამულის შვილობისა,  
ენის სიღრმით იგი დაუშრეტელი წყაროა,  
მეცნიერებით იგი საერთო მასწავლებელია,  
ყოფი-ქცევით იგი სარკეა მზნეობისა,  
ზრუნვით იგი სახიერი მამაა ჩვენი.  
გონებრივ ჭირნახულობით იგი უშესანიშ-  
ნავესი ქართველია.  
ჭველობით და სათნოებით იგი სახეა ქარ-  
თველურ გულუხვობისა, შეწყნარებისა  
გვამის სილამაზით იგი ნიმუშია ქართვე-  
ლურ შვენეირებისა.

1028 წელს ეფთვიმე კოსტან-  
ტინოპოლს დაიბარა იმპერატორ-  
მა. აქ რომ იყო, ერთ დღეს შე-

---

\*) ფანკაცა, გიგანტი.

ჟღა ჟორზედ და წაჟიდა ხატების  
შემკაზმელთან, რამდისთვის მას  
მიეცა ხატი „განსაკებულად“. უბანში  
გაულის ღრას წარმადგა ვინმე და-  
ვრდომილი და მოწყალება ითხოვა  
წმიდანისაგან. ჟორი გაუხედნი იუჟ  
და რა დანახა ძინძით მოსილი  
დავრდომილი, მოწყალების მისაღე-  
ბად მომავალი, დათრისხა, მოიტაცა  
უთვინი, აქა-იქ აწყვიტა და ბოლოს  
გადმოაგდო და საშინლად დაჩეხა.  
მთელი კოსტანტინეპოლის ხალხი  
იტნობდა. შეიკრიბა მრავალი ერი.  
იწყეს წყხილი, ტირილი. იმპერა-  
ტორ კოსტანტინემ თვისი საკუ-

თარი კაცა გამოგზავნა და მოიკითხა. წმიდანი კარდაიტვალა (13 მაისს 1028 წ.) იგლოფა მთელმა ქალაქმა იქვე იუვნენ ქართველები და ცრემლად იხიშობდნენ. ჭკლოვობდა თვით იმპერატორი და მისი სახლობა. მისი ნაწილები დიდის კრძალვით ჩაასვენეს ჯუსკუმაში, მასვენეს მის მიერვე აკებულ ალანე ნათლასტემლას მონასტერს და იქ დამარხეს. შემდეგ მასი გვამი წმ. გიორგი მთაწმინდელმა გადაიტანა ათონას ლავრის უმთავრესს ტაძარში — ღვთის-მშობლის ეკლესიაში და იქ დაჭკრძალა.

ათონი ქართველთა  
ათინად ბერაქენტა  
შეიქმნა ღვაწლითა  
დიდ ეფთვიმესითა.

ასეთი დიდი კაცი მხოლოდ ამას  
ამბობდა: „უფალო, შეიწყალე ეფ-  
თვიმე, ცოდვილი მწარედ“. (ცნ-  
ბები ეფთვიმეს შესახებ ამოვიღეთ  
მე-XI სსუკ. ტეაგზედ ნაწერ და  
გიორგი მთაწმინდელის მიერ ბერ-  
ძულიდგან ნათარკმნ სვინაქსარა-  
დამ\*)).

---

\*) საეკლ. მუზ: № 222.

კდ. ვედრება წმ. ეფთვიმესადმი

წმ. გიორგი მთაწმინდელისა.

‡ წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო ეფთვი, შეგვიწყალენ მონანი ესე შენნი მწირნი და გლახაკნი უცხოებასა ამას, და გვითხოვე შენდობა შეცოდებათა აურაცხელთა დღესა მას განკითხვისასა, და ამას ცხორებასა დაგვიცვენ საბრკეთაგან ეშმაკისათა და მზაკვარებათაგან კაცთასა. — ტკბილო მამაო სჯლითა და გონებითა, საუკუნომცა არს საკსენებელი მამისა გიორგისი \*).

---

\* ) საეკლ. მუზ. № 170.

გიორგი მთაწმინდელი (ე. ი. ათონელი) წმ. ეფთჳმეს მომღვწეობა მოღვაწე იყო. მამა მისი იაკობ თრიალეთის მხრიდან იყო და ამასთან დიდ გვარის კაცი. მეფე გიორგიმ († 1027 წ.) იგი წარგზავნა სპარსეთს მოციქულად. ეს მოციქულობა მან სახელგანთქა-სრულა. იქიდან რამ დაბრუნდა, ცოლად შეირთო მარიაში. იაკობიცა და მარიაშიც კეთილ-სათნონი იყვნენ, მიეღოთ ღრმის შესატყერი სწავლა და მეუღროდ სცხმურად-დნენ. მათ მიეცათ სამნი ძენი და სამნი ასულები. უფროსი იყო თე-

კლას, რამდენის შემდეგ დაიბადა  
თევდორე (წმ. გიორგი). თეკლას  
შვილის წლისა რამე შეიქმნა, მშობ-  
ლებმა წაიყვანეს სამცხეს, სადღღო  
მონასტერში და მიაბარეს მისს  
წინამძღვარს საბიანას, რამეჲც  
იყო წმიდა და ღირსი. თეკლას კე-  
თილად აღზარდა ამ სათნო მო-  
წოდებამა. თევდორეც შვიდი წლისა  
რამე შეიქმნა, იგიც იმავე სადღღო  
მონასტერს, რამეჲსაც ტაძრისი  
ერქვა, მიიყვანეს და მისსავე დას  
თეკლას ჩააბარეს. აქ დარჩა იგი  
სამს წელს და ისწავლა ბეჭითად და  
კეთილად; ამის წლისა რამე შეიქმნა,  
გონებით მხტოვანს დაემსგავსა.

მას ჰყვანდა ორი ბიძა, რამეულ-  
ნიც მის მამაზე უფროსნი იყვნენ  
წლგვანობით. ერთს ერქვა გიორგი  
და მეორეს საბა. გიორგი ხინეპული  
მწერალი იყო და ღავით კურატ-  
ხალტის დროს († 1001 წელს).  
მისს მწერალთა მთავრად უთვლი-  
ყო. საბა იყო წრთელი და უმწეო.  
ორნივე მოღვაწეობდნენ ხახულის  
დიდებულს ღვთასმშობლის ლავრა-  
ში. მათ მიესმათ რა გონიერება  
და სიკეთე თუდობრესა, ძმას მის-  
წერეს, შენი ილი აქ მოგვგვაშუ-  
რეო. ამანაც მათი თხოვნა აასრუ-  
ლა.

ბიძებმა მეტად გაიხარეს, რადესაც ნახეს, რომ მათ ძმისწულს დაწინააღმართული სახე აქვს, თავისუფალი და აღუძვრელი გონება. მიჭგვარეს იგი მონასტრის მამას მკაცრის. მან შვილივით შეიტკბო იგი, აკურთხა და ეგლოგიის მონაწილე ჰყო. აქედან წაიფანეს და წარუდგინეს ბაგრატ მეფის († 1014 წ.) ძეს ბერს ბასილის, რომელიც მაშინ იყო წინამძღვარი და საქართველს განმანათლებელი. ამანაც დალოცა თევდორე. შერე დალოცეს იგი ღმერთშემოსილმა ანტონიმ და უკვლავ დანაშთენ ბერებმა.

მასშინ იქვე ხახუღს იუო ილა-  
რინ თუჯაელი, ფრიად განათლე-  
ბული კაცი. იგი მამათა შორის  
ბრწეინაგდა ვით მთიები. მას ჩაბარეს  
თევდორე წურთად ღ ალსაზრდელად.  
თევდორემ მალე დაისწავლა ძველისა  
და ახალის აღთქმის წიგნები, ზეპი-  
რად ისწავლა საწელიწდო საკალაბე-  
ლნი ღ კალაბათა შეწუბილაბანი.

ბერძული ენა მან ისწავლა ფერის  
ჯოჯიკის სახელში. ეს ფერის ბაკ-  
რატ მეფის ასულის სიძე იუო.  
ხოლო ეს ასული ბაკრატისა თვის  
ძმას ბასილზედ უღარესი არ იუო  
ღირსებითა და ღვთისმსახურებით.

ამ ფერისმა და მისმა შეუღლებ  
თევდარე (გიორგი) ჩაბარეს გი-  
ორგი მწეკალს, მისსავე ბიძას და  
დაავალეს ესწავლებინა მისთვის  
ეფექლივი. გიორგი მონუცებული  
იყო და მას პატარა თევდარე მო-  
ცლის დროს შეელოდა: საწერს  
უკანახებდა.

ფერისს სახლში დიდხანს დარჩა  
თევდარე. ბეჭითად სწავლობდა და  
შეუდროდ სცხოვრობდა მათთან.  
გარნა ფერისს გაურისხდა ბერძენთა  
იმპერატორი ბასილი, შეიპყრო იგი  
და თავი წარჭკუეთა, ხოლო მისი  
შეუღლე მთელის სახლობით კოს-

ტანტინეზოლს წაასხა. მათთან თევ-  
დორეც იუო. იქ დარჩნენ 12 წე-  
ლიწადს. თევდორე ახლა ფილო-  
სოფოსებს მიაბარეს. ისე ზრწეინ-  
ვალედ დაწავლას, რომ მასი მეცნიე-  
რება ბერძნის სწავლულებს აკვირ-  
ვებდა.

შემდეგ ფერის ცოლი გაანთ-  
ვისუფლეს. იგი სახლობითურთ  
დაბრუნდა სამშობლოში—ტვარწა-  
ტავს. თევდორეც თან მოიყვანა.  
აქედგან იგი წავიდა ხახულს თავის  
ბიძა საბასთან და ბერად აღიკვეცა.  
მასინ იგი იუო 25 წლისა.

ჩუმად იგი გაიპარა და იერუსა-

ლიმის გზას დაადგა. მივიდა ასუ-  
რეთის შავმთას, თაყვანისცა საკვირ-  
ველმთქმედის სჯემონის ლარნაკს  
და მის ღედის მართასას, მეტყე-  
კლდის ნაპრაღში მონახა ქართვე-  
ლი ბერი, „ქართველთა ნათესავის  
მნათობი“ დაუუღებული გიორგი,  
(რომლის ბრძანებით დაიწერა ცხფ-  
რება წმ. გიორგი მთაწმინდელისა  
ვინმე გიორგის მიერ). წმ. გიორ-  
გიმ დაუუღებული გიორგი თვისს  
მოდღვრად აირჩია და მასთან დარჩა,  
ვიდრე 30 წლისა არ შეიქმნა. და-  
უუღებულ გიორგის მეტად უხარო-  
და, რომ ქართველს ერს ღმერთმა

მოუვლინა კაცი, რომელიც შემ-  
ძლებელ იყო განეგრძო წიგნების  
თარგმნა. მან სრული სქემა შემოსა  
და იერუსალიმს გაისტუმრა. მო-  
ლოცა იქაური სიწმინდენი და  
ისევ გიორგი დაუედებულთან და-  
ბრუნდა. ამ ჩინებულმა ქართველმა  
წმ. გიორგი წარგზავნა ათონს და  
დაავალა წიგნების თარგმნა.

წმ. ეფთვიმემდე საღვთო წიგ-  
ნები ითარგმნებოდა თვით საქარ-  
თველად მონასტრებშივე: ხახულის  
ლაფრას, ანჩას, იშხანს, ტბეთს,  
აზიზას, ბანას, ბოლნისს, მანგლისს  
და სხ. და აგრეთვე ქართველთა

მონასტრებშივე ასურეთს, იერუსალიმს (საბა წმიდას), სინას, კალიპოს და სხ. რადგან უველა ეს მონასტრები, ახლო იყო სომეხთა და ნესტორიანთა მწვალებლობასთან, საქართველოს ეკლესიასაც მოსვენება არ ჰქონდა ამ მწვალებელთაგან. ძველად ნათარგმნი წიგნები მათივე ზედმოქმედებით საკმაოდ გაირყვნა. ზოგიერთი წიგნი თვით სომხის მწვალებლებს ეთარგმნათ ქართულად, და რახან ურველივე ეს „გარეუნილებით“ აღსავსე იყო, ქართველთა მოწინავე კაცებმა საჭიროდ დაინახეს დაეარსებინათ საკუთარი

მინასტერი იმისთანა ადგილას,  
რამელიც შორს იქნებოდა სო-  
მებისა და ნესტორიანთ მწვალებ-  
ლობისგან, და ამისთანა ადგილად  
იტყეს ათონის მთა საბერძნეთის  
მაკედონიაში. ათონი ახლო იყო  
კონსტანტინეპოლთან, რამელიც მა-  
შინ თავის განათლებით მთელის  
მსოფლიოს მანათობელად ითვლე-  
ბოდა. და იქ, ათონს, ააკეს (მეათე  
საუკ. ნახევარს) ლუთისმშობლის  
ტაძარი და შექქმნეს ქართველთა  
ლაგარად, ქართველთა დიდ აკადე-  
მიად, რამელშიაღ ჯერ ეფთვიმეს  
დროსვე ჭმობლავაწობდა 2,000-მდე

ქართული. ამ მოღვაწეებმა და უმ-  
თავრესად კი ეფთვიძემ და წმ.  
გიორგიმ ძველად ნათარგმნი წიგ-  
ნები ხელახლად გადაშინჯეს, ბერ-  
ძულს შეუდარეს და შეასწორეს,  
ხოლო რაც-კი უგბილად თარგმნილი  
იყო და ანუ ჯერ არ იყო თარგ-  
მნილი, თვითვე გადმოიღეს ჩვენს  
ენაზე. მოკლედ რომ ვსთქვათ, უკვე  
შობილი ეკლესია და განმტკიცე-  
ბული ქართული მწერლობა მათ  
ახლად შვეს, გასაკანონებელი გაა-  
კანონეს, ღვარძლი და ხენუში აღ-  
მოთხზურეს, დასამტკიცებელი დასამ-  
ტკიცეს, და ქვეყანას ჩვენსა მოს-  
ცეს თესლი წმიდა და პოხიერი.

კითარცა „გამოვიდა სჯული სიონით  
და სიტყვა ღუთისა იერუსალიმით,  
ეგრეთცა წესნი და კანონნი, აღწერით  
დამტკიცებულნი, მიეცა ქართლს ათონით.

რაც დაშთა გასაკეთებელი წმ.  
ეფთვიმეს, იგი ბრწეინვალედ შეა-  
სრულა წმ. გიორგიმ. მისი ნათარ-  
გმნი წიგნები, მის დროსვე გადა-  
წერილი და ჩვენ მიერ განხილუ-  
ლი, ისეთივე უნაკლულთა, კითარცა  
მზის სიბრწეინვალედ. ეფთვიმეს  
ცხოვრებასა და გიორგისას ცალკე  
დავბეჭდავთ ვრცლად, და აქ ვუ-  
ძღვნიით მათ მცირე იამბიკოს \*):

\*) თანახმად წმ. გიორგის ცხოვრე-  
ბის აღმწერელის დიდის მკვერმეთქვის  
და რიტორთა შარავანდედის ვინმე  
გიორგისა („სამოთხე“, გვ. 447).

ვეთვიმე მთარგმნელი იყო წყაროს თუ-  
ლი სიბრძნისა,  
აღმოცენა მომრწყემლად ნათესავისა ჩვე-  
ნისა  
და მისგან აღმოივსო ნექტარი გულისხმის-  
ყოფისა.  
ზოლო კაცისა მიერ გიორგი ღმერთშემო-  
სილისა  
დაითურა საშყარო ეკლესიისა ჩვენისა;  
და მათ მეოხებით წმიდისაგან ლავრის  
ათონისა,  
ვითარცა მდინარისა მსგან ედემიანისა,  
მოეფინნეს მსაზრდობელნი ნაკადულნი  
ცხოვრებისა  
პირსა ზედა ქუეყნისა ამის საქართველო. სა.

გიორგი მთაწმინდელი ჩინებული  
მკვლევანი იყო. თავის ლექსებით  
მან შეამკო ათონის მთა. აი შინა-  
არსი მისის ერთის ლექსისა:

რეკამ უხრის ძელისა\*), მწუხრის ძელისა!  
რავდენსა აღვიძრავს საგონებელსა  
სიყრმისა დღისასა სამშობლო მხარესა,  
რომელ მიყვარდა, სად არს სახლი მშობლისა,  
და, მას რო ვშორდებოდი უამსა მიმდემსა,  
უკანასკნელად რეკა მესმა ძელისა!

და ედარცა ვიხილავ ბრწყინვალე დღეთა  
ჩ მისა მატურის გაზაფხულისასა!..

რავდენცა არღარა ჩანს აწ შორის ცოც-  
ხ. ლთა

მაშინდელთაგან კისკასთა, ნორჩთა ყრმა-  
თა!..

რეკა მწუხრისა არღა ესმისთ ყურთა მათთა,  
და მტკიც არს დაძინება მათი საფლავთა;

---

\*) გიორგი მთაწმინდელის დროს  
ზარი ჯერ არ იყო მოგონილი. მაშინ  
ძელს ჰრეკავდნენ, და ამ ძელს-კი  
ჩვენში იმ ხისაგან აკეთებდენ, რომ-  
ელსაც ჰქვიან „ძელქვა“.

მხედება მეცა წოლაჲ მიწას ნესტიანსა  
ჩემზედა ხმასა მწუხარეს, ნაღვლიანსა  
ქარი მიმოჰტენს მიდამოს ველიანსა;  
სხვა მომდერალი გავლის ამას აღვილსა  
და, ეჰა! არა თუ მე, არამედ ისა  
დაჰმდერს ხმასა მწუხარისას, მყოფისაგონსა.

ეს ლექსი თარგმნილია ევრო-  
პიულს ენებზე და აკადემიკოსის  
კაჯანოვსკის სიტყვით კაზლოვის  
„Вечерний звонъ, вечерний звонъ,  
какъ много думъ наводитъ онъ“ ...  
სიტყვა-სიტყვით თარგმნილია გი-  
ორგი მთაწმინდელის ლექსიდან,  
რომლის შინაარსი ზემო აღვბეჭ-  
დეთ.

გარდაიცვალა წმ. გიორგი ათონს  
29 ივნისს და დასაფლავებულ იქმნა

იქვე, მიძინების ღვთისმშობლის  
ტაძარში, წმ. ეფთვიმეს გვერდით.  
მის ხსენებას ქართველთა ეკლესია  
დღესასწაულობს 30 ივნისს.

აღსრულება მისი ასრე იყო:

28 ივნისს 1066 წელს იგი  
აღჰდა ჯორჯედ და წავიდა თელო-  
პატს იმპერატორის კოსტანტინე  
დუკიწის \*) დასახვედრად. ნახა მეფე

---

\*) ამ იმპერატორის შვილს მიქელს  
კოლად ჰყვანდა ბაგრატ IV-ის ასული  
მართა (იგივე მარიამ), რომელს კო-  
სტანტინეპოლს გაჰყვა მაშინ საქარ-  
თველოში მყოფი გიორგი მთაწმინდე-  
ლი. მართასაგან დაიბადა იმპერატო-  
რი კოსტანტინე ძოწითმოსილი.

და თვისსავე მეტოქს დაბრუნდა. მწუხრი მოისმინა იმავე სადამოს და მშვიდობით გაათენა ღამე. მეორე დღეს პეტრეპავლობა იყო. დილას ცისკრის ღოცვის წესს თვითვე განაკებდა. შემდეგ მან უთხრა იქ მეოთხე ქართველებს: „დღეს არის ჩემი აღსასრულის დღეო“ და იმ დღის განკარგულება მისცა უველას. ზოგნი წავიდნენ პეტრეპავლეს ტადარში წირვის შესასრულებლად და ზოგნი-კი მასთანვე დაშთნენ. ამათ შორის იყო თვით მის ცხოვრების აღმწერელი გიორგი მწერალი და აგრეთვე „კაცნი მოხუცებულნი და

აზნაურნი ზაჭიოსანნი, სტეფანე და სვიმეონ, და 40 ურმა, რომელნიც კონსტანტინეპოლს წაეყვანა აღსაზრდელად.

მას განწესებული ჰქონდა: დღის სამი უამი რომ შესრულდებოდა, სახარებას მოისმენდა ხალხი. ოთხს მოკნილს აკითხებდა სახარებას — თითო თავს ოთხთავისას, და ისე რომ ოთხსავე ერთს დროს უნდა დაესრულებინათ კითხვა. 29 ივნისსაც ასრე მოიქცა. ზეჯდომით მოისმინა მათი კითხვა. „რომ დაფარულეთ კითხვათ, სწერს გიორგი მწერალი, ჯვარი დაგწერა და თქვა:

„დიდება შენდა, უფალა!“ და იქვე მიწვა. წმიდანი ფერკნი წესიერად განიროხნა, კელნი სანატრელნი, მწერალნი საღმრთო მოძღვრებათა, უმანკოსა და უბიწოსა გულსაზედა თვისსა დაიჯვარედნა, მცირედ ოფელნი გარდაეცნეს, ჯვარი ჰიქსა დაიბეჭდა და წმიდა მარჯვენე ისევ თვისსავე ადგილსა დაღვა და სთქვა: „კელთა შენთა შევუდრებ, უფალა, სულსა ჩემსა“, და ესრეთ დიდად რაღმე აღმოითქვინნა ერთ-გზის ხელა და მისცა წმიდაჲ სული თვისი წმიდათა ანგელოზთა“.

მასთან მღკომარე ქართველებმა

მთქმით ტირილი იწეეს. ხალხ-  
ობოლნი და ჩვილნი, რამეღნი მას  
წაეუვანა საქართველოდგან, „კმითა  
წვლილთა და ენითა ბრგვინვალი-  
თა იტყოდეს: „ვამ ჩვენდა, ვამ  
ჩვენდა! შენ მიერ, ყ მამო, რამ  
ესე შემამთხვიე ჩვენ! ვითარმედ  
სადა შემკრიბენ და აღმზარდენ, ანუ  
აწ სადა დაგვიტევენ და დაგვფან-  
ჩენ?!“

თვით გიორგი მწერალი-კი ასე  
ტირდა და ამას ამბობდა:

„ვამე, ვამე, ძმანო ჩემო,  
პატროსანო!“

„აწ დაგუჭკმა შირი იგი, რა-

მედი გვწერთიდა დღე და ღამე  
სჯულისა უფლისასა;

„წარვიდა გონებისა განზრახვა  
ჭეშმარიტად ღვთისა მიერ აღ-  
რული;

„დაწუხნა თვალნი იგი მართ-  
ლიად მხედველი და გამჩქეველი  
კეთილისა ბრძოლისაგან და უმჯობე-  
ბესსა უღაცესთაგან

„დადუმეს ბაგენი იგი მტკეული  
სჯულისა უფლისასა.

„შეიკრა ენა იგი თქრო-სიტყვად  
და საღმრთოთა ბრძანებათა კმა-  
მაღლად მღაღადებელი, და ბრწეინ-

ვალედ მთარგმნელი ღჷთივ სული  
ერთა წიგნთა.

„დაუუნა კელი იგი შვენიერად  
მწერალი, რომელითა განანათლნა  
ეკლესიანნი.

„დადგეს ფერგნიცა იგი შვენი-  
ერნი, განკათულნი ღამის თუგათა  
შინა ზედგომითა

„დაუუნა გონება იგი მხილვე-  
ლი და სიღრმეთა სულისათა გა-  
მომძიებელი

„დაითარა მიწასა შინა გუამი  
წმიდაჲ მოღვაწეობისა, შრომითა გან-  
ლეული.

„შეისვენა ზოგადმან მოძღვარმან ჩვენმან,  
ქვეყნის ანგელოზმან და ზეცისა კაცმან,  
ქალწულებისა ტაძარმან უბიწომან,  
მრავალ ფერ-სახე სიბრძნემან სჯლისამან,  
კელოვანმან მან გულის კმის მყოფელმან  
და ერთგულმან ქრისტეს ღუთისა მსახურ-  
მან,  
ბრწყინვალემან თვალმან ქრისტეს გვამი-  
ს. მან,  
მოთმენის მოღვაწმან, წყალობის წყარო-  
მან,  
განკრძალულმან უფლისა სჯულის მმარ-  
ხველმან  
და ფასის საცავმან სათნოებისამან,  
სიტყვითა ტკბილმან და ზრ. ზვით საწა-  
დელმან  
და მამამან, ზიარმან ანგელოზთამან“.

კე. გალობა წმ. მეფის დავით  
აღმაშენებლისა.

ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, ყოვე-  
ლისა დამბადებელო, რომელჰან სიტ-  
ყვით დაამყარენ ცანი მაღალნი ყოვე-  
ლით ძალით მათით და სულითა მით  
საღმრთოითა დამამტკიცენ ჩვენ ერთო-  
ბით კლდესა ზედა სარწმუნოებისასა.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე.

უამი რა წვლილთა და ხმელთა წარ-  
მოდგეს, ზარი მეფობისა წარხდეს და  
დიდება დაშრტეს, შვებანი უქმ იქჰნენ,  
ყვავილოვნება დაჰნეს, სხვამან მიიღოს  
სკიპტრა, სხვასა შეუდგენ სპანი, მაშინ  
შემიწყალე მე, მსაჯულო ჩემო, იესო  
ღმერთო.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე.

დასაბამი სიბრძნისა შიში ჯფლისა,  
ვითარ გვასწავებს დავით მეფე და  
წინასწარმეტყველი და ილოცავს ამას  
ისაია წინასწარმეტყველი: „უფალო,  
ღმერთო ჩემო, ვისირცხვი და მკვდი-  
ლების აღებად პირისა ჩემისა შენდამი,  
რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი გან-  
მრავლდენ თავთა ზედა ჩემთა და ცოდ-  
ვანი ჩემნი აღორძნდა ნიდრე ცაღმდე.  
მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე.

წმ. დავით აღმაშენებელი ერთი  
უდიდესთაგანი მეფეა საქართველო-  
სი. იგი იყო ფრიად განათლებუ-  
ლი, ახლვანი, ძლიერი და ქვეყნის  
შემშენი. მტერთაგან აცხრებულ

საქართველო მან აღადგინა მკვდრეთით და აღაშენა, გააძლიერა და გაამშვენა ეკლესიებითა, ციხე-კოშკებითა და სკოლებით. მის შესანიშნავ გალახებიდამ ამოვიღეთ მხლად ეს მცირე ნაწიუკეტები..

კვ. იამბიკო ნეტარის თამარ მეფისა.

ცასა ცათასა დამწყები; ღმერთ-მთაფრობაჲ  
ძე საუკუნობს, პირველი და კვალადი.  
სულ-მან ღმერთ-მან სრულ ჰყო არ მოქმედებადი.  
სამებით სრულ-მან, ერთითა ღვთაებითა,  
მიწით პირველსა (ჰყავ) პირ-მშოსა კაცთასა.

შენ მიერ მისთვის დრკუისა-მის განმგებლი  
დრკუე მიდრკა უვნები ვნებისადმი.

ივნო და ვნებო პირველი უვნებელ ყო:

შენგან შობილმან ჩვენ ღირს გყყვნა ად-  
მოშობად,

ბნელით ნათლისად, ნათლითა მხედველო-  
ბად:

შენგან, ქალ-წულო, რომელსა შენთვის  
დავით

როკვიდა, ძისა ღვთისა ძედ შენდა ყოფად.

მე თამარ, მიწა შენი და მიერივე

ცხებულობასა ღირს მყავ და თვისობასა,

ედემს ღადირად, სამხრით და ჩრდილოე-  
თით

შუა მფლობელი, იავარს შენდა ვმრთვე-  
ლობ:

ხალიფას დროშას, თანავე მანიაკსა

შევრთე ცხუ-სჯულოთა მოძღვრისა, და-  
ზოდ მძღვანი;

ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,

მოირთხნა, მოსრნა სულტნითა ითხბავი;

ირანს ებრძოდეს ჩემ მიერ მისთა სპათა  
ჩვენნი მკედარნი, მოსაენი შენნი, სძალო,  
მოსწყლნეს, მოსწყვიდნეს, აგარის ნათე-  
საზნდ;  
მუნით მოხმულთა ნიკთაგან ერთსა ამას  
შენდა შევწირავ. მიოხე ძეებრ, ღმერთო.

1195 წელს თამარ მეფეს შე-  
შტება თითქმის მთელი თათრობა,  
აუარებელი რიცხვი მტრისა ხალიფას  
დროშის წინძღვლით მთვიდა გან-  
ჯას და შანქორის, არემარე მთიცვა.  
თამარ ნეტარმა შეჭყარა თავისი  
ლაშქარი და საბრძოლად წარგზავ-  
ნა. ლაშქარს უფროსობდა თამარის  
ქმარი დავით სოსლანი. ქართვე-  
ლები განჯას რომ მიუახლოვდნენ,

ორ წეობად გაიყვნენ და მტერს  
მიესივნენ დიდის სიფიცხით. იბრ-  
ძოლეს დიდხანს და თათრობა შე-  
მუსრეს და მისი ავლად-დიდება ხელთ  
იგდეს. მრავალი თათარი მოკლულ  
იქმნა, მცირეოდენი კარდაიხვეწა და  
დანაშთენი ტუვედ წამოყვანილ იქმ-  
ნენ. თამარს გამოუგზავნეს მანდა-  
ტურთუხუცესი ჭიაბერა და ახარეს  
გამარჯვება. მალე დანაშთენი ჯარიც  
მოვიდა და დედოფალს მოართვა  
ხალითას დროშა და მრავალი და  
აურაცხელი ძვირფასეულობა. ნეტარ-  
მა დალოცა თავისი საუვარელი შე-  
ომრები და შემდეგ სახულის დუთის-

მშობლის ხატის შესამკობად წარ-  
გზავნა გელათს \*) ხალიფას ძვირ-  
ფასი ღრძობა და მრავალი ჰატი-  
სანი თვალ-მარგალიტი, და თან  
აღწერა ზემოთა დაბეჭდილი იამ-  
ბიკოც.

ნეტარი თამარ ქართველთა სხვა  
წმიდანებთან ერთად გამოსახულია

---

\*) ხახულის მონასტერი იყო უდი-  
დებულესი კერა განათლებისა, არაბე-  
ბის და თურქების შიშის გამო მისი  
ღვთისმშობლის ხატი, საკვირველად  
და ძვირფასად შემკული, გადმოასვენეს  
კოროხის ხეობიდგან იმერეთს და და-  
სვენეს გელათის ტაძარში.

სიონის ძველ ხატზედ, რომელსაც  
ქვიან „საქართველს სამთხე“.  
თამარის ხსენება მადის მენჯლსა-  
ცხებელთა კვირიაკეს.

კზ. ლოცვა რუსთაველისა,

მადლო ღმერთო, ხმელთა და ცათაო,  
ზოგჯერ მომცემო პატიუთა, ზოგჯერ კე-  
თილთა მზათაო,  
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფ-  
ლებათაო,  
შომეც დათმობა ასურვილთა, მფლობელო  
გულისთქმათაო!  
ღმერთო, ღმერთო, მოწყალო, არვინ  
მივის \*) შენგან კადე,  
შენგან ვითხოვ შეწევნსა, რაზომსაცა  
გზასკ ვვლიდე:

\*) მყავს.

ტერთა ძლივსა, ზღვათა ლელვა. ღამით  
მაგნე განმარიდე.  
თულა დავრჩე, გმობსურებდე, შენ ა მახვე-  
რპლსა შევსწირვიდე.

შოთა რუსთაველი გვირგვინია  
და თავადი ქართულ მკაცრობისა და  
მწერლობისა საზოგადოდ. იგი დაი-  
ბადა თამარ ნეტარისა და თამარ  
ბრწყინვალის შაშს. დიდებას თამარ  
მეფისას მან დაადგა გვირგვინი  
ბრწყინვალეებისა და უხრწნელებისა.  
შოთას „ვეფხისტყაოსანი“ თამარ  
მეფის შაწავანდედთან ერთად უკვ-  
დავ და უხრწნელ არს. შოთას შე-  
სახებ უფრო ვრცელი ცნობები იხ-  
იგენს წიგნში „შოთა რუსთაველი“.

კს. ვედრება ქრისტე მაცხოვ-  
რისადმი საბა კარელისა.

ქრისტე, მიწყალენ და მაკურთხენ  
ჩუენ და გამოაჩინე პირი შენი ჩუენ  
ზედა ღმრთეობა შემიწყალენ ჩუენ, აღდეგ და  
განაბნიენ ყოველნი მტერნი, ურწმუნ-  
ონნი, მედგარნი; უგრეთ წარწყმდენ  
ცოდვილნი პირისაგან მისისა და მარ-  
თალნი იხარებდენ.

საბა კარელი, ე. ი. კარის (ყარ-  
სის) ეპისკოპოსი ეკუთვნოდა იმ  
მოდგაწეთა გუნდს, რომელთა შეი-  
ხებით დროშა ქართველთა ძლიე-  
რებისა, მართლიერებისა, და შეც-  
ნიერებისა ბრწყინავდა ანს, კარს,  
ასქენს (არზრუმს), ვალაშკერტს,

ბასიანს, ოლთისს, ტაოს, ფანას-  
კერტს, შატბერდს (შემდეგ ბაბერ-  
დი, აწი ბაბურთი ჭოროხის სა-  
თავეზე(?)), ხანძთას, ანჩას, ტბეთს,  
სხალტბას, არტანუჯს, ართვინს,  
ოზიზას და სხ. ეს საბა კარელი  
თავისს 32 ტაეზოვანს იამბიკოში  
ადიდებს ქრისტესა და მის ხელთ-  
უქმნელ ხატს და თანაც ამ ხატს  
ეკუდრება მეოხ ექმნეს ერისთავთ-  
ერისთავს ვარდანს. აი თვით ტაე-  
ზების დასაწეისი სიტყვები, რომ-  
ლის კიდურ ასლებში ამოიკითხავთ  
ლოცვას: „ქრისტეს ღმრთის ხატო,  
მეოხ ექმენ ვარდანს“:

ქადგებულსა... რამდისსაგან...  
იხილნეს... სახე იუო... ცომისა-  
გან... ესრეთ... ღმერთო... ძაუ-  
წეენ.. რაყამს თანა... ისმინეთ...  
სიტყუთა.. ხატსა.. ამიერ.. ცა-  
ძარ.. ოღეს.. მეგობარ... ესე..  
ორო... ხატო... ერო.. ქრისტე..  
ძრავლით.. ეტუოდა.. ნეტოსით..  
გითარცა.. ანუ.. რამეთუ.. დას-  
ჯისა.. აქუნდა... ნეტარებისა..  
სამართლად.

თვით საბა ამ ვარდანიძის ძმა იუო  
და ორთავე-კი მე-XIII საუკუნის  
მოდგაწენი იუვნენ. ანტონი მისს  
შესახებ ამბობს: „საბასგან ქმნილი

ვნახე კანონი რამე, გელთუქმნელის  
ხატისთვის ძნობილი. მისი შეკეთა-  
ფრასი, გამიკვირდა შენაქსვი თი-  
ლოსოფოსებრ, გარნა მარტივ, არა  
ძნელ ზიტიკებრი, საქები უცხო  
გვარი. საღმრთო სინგელი საბა იუო  
ფრას შეთქვი საკვირველი, შვენიერ  
მჭევრი, ქართველთ დიდება, იმერ-  
თა გვირგვინი, ოდიშართ (შეგ-  
რელთ) მნათი, მესხ გურულთ სი-  
კეთე, კახთა, აფხაზთა შვენიერება  
დიდი, მან ვედრება უძღვნა ანტონი  
მარტყოფელის მიერ მოსვენებულს  
არტყოფის ხელთუქმნელ ხატს მა-  
ცხოვრასას.

ვთ. თაყვანისცემა ხელითუქმ-  
ნელის ხატისა.

თქმული არსენი ბუღმასისმისძისაგან

ერნო ქართლისანო, გიხაროდენ და  
აღიპყრენით ყოველნი და მადლობაჲ  
შეწირეთ ხატსა ამას ყოვლად უხრ-  
წნელსა, კელით უქმნელსა, რამეთუ  
ესე არს სამეუფოჲსა ამის სიმტკიცე,  
ძალი და დიდებაჲ, და კმობდით:  
მოანიჭე მეფესა ჩუენსა ძლევაჲ.

ვედრება იმავე ხატის წინაშე  
მისივე.

ჰ ხატო ქრისტეს ღუთისაო, მეფე  
მორწმუნე შენი შენ მიერ გვირგვინო-  
სანი განამკნევე ძლევად მტერთა, ეკ-

ლესიათა და მღდელთა ერთობაჲ ყავ,  
ღ ყოველი ჰასაკი, შენი მაღიფებელი,  
შეიწყალე და მეცა მგალობელსა ნუ  
დამსჯი. დიდებაჲ.

✠ მეფეთა მეუფეო და უფალთა  
მფლობელო, ღმერთო ღმერთ-მთავრო-  
ბაო, სამებაო წმიდაო, ქრისტეს მოსა-  
ხელე მეფე ბარბაროზთა მძლედ გამოა-  
ჩინე და ერი შენი დაიცევ საფარველსა  
ჯურისა წმიდისასა ქუცზე. აწ და..

✠ უხრწნელო ღუთის-მშობელო,  
რომელმან ქრისტე ღმერთი უშევ მა-  
ცხოვრად კაცთა, ევედრე ძესა შენსა  
ქრისტეანეთათვს, რამეთუ შენდამი-  
მხოლოდსა სასოებაჲ დაუც, ყოვლად-  
წმიდაო, და რისხვითა შენითა წარა-  
ქციენ მტერნი ჩუენნი. ამინ.

არსენი ბუღმასისიმიისძე საქარ-  
თველას კათალიკოსი იყო მე. XIII  
საუკუნეში. იგი დიდი მამადმთავა-  
რია, ბრძენი, ფილასოფოსა, რი-  
ტორი, მგალაბელი, ღვთისმეტ-  
ყველი. მან შეჰკრიბა ქართველ წმი-  
დანთა ცხოვრებანი და შესხმა უძღვნა  
უველა წმიდანს. მისნი საგალაბელ-  
ნი ქართულის ღვთისმეტყველების  
მარგალიტად ჩაითვლება. (იხ. მის  
შესახებ ჩვენი წერილები „ივერია-  
ში“, 1899 წ. №№-ები 56, 58,  
59 და 60.

ლ. ვედრება სამებისადმი

იშხნელ ეპისკოპოსის აბეკეისა.

დაუსაბამოო და დაუსრულებელო,  
განუყოფელო და შეურევენელო, მიუ-  
წდომელო სამებაო, სრულო და სრუ-  
ლებაო ყოველთა არსთა არსებისაო,  
რომლისაგან ეგე ძრწიან ყოველნი და-  
ბადებულნი, ზილულნი და უხილავნი,  
რომელსა გამსახურებენ ყოველნი მკე-  
დრობანი ცათანი, რომლისა მიმართ  
მოდრკების ყოველი მუკლი, ზეცისა-  
თანი და ქუეყანისათანი და ქჷსსკნელ-  
თანი, და ყოველი ენაჲ დიდების  
გმეტყუელობს შენ; შენითა მაგით  
უსაზღვროდთა ჭ გამოუთქმელითა დი-  
დებითა ადიდე ორთავე შინა სუფე

ვათა, აქა და უმეტეს წინაშე შენსა  
შენ მიერ დიდ ქმნილი წმიდაჲ მეუფე  
ჩუენი ამა იშხნელი აბერკი, რომელ-  
მან დიდად იღვაწა მოგებად და ხარ-  
კებად წმიდისა ამის და სულთა გან-  
მანათლებელისაჲ და ეკლესიათა გან-  
მშუცნებელისაჲ წიგნისაჲ, და დაუსა-  
ყდრე ყოველთა ნებისყოფელთა შენთა  
თანა სულსა დედაჲ მამათა და ძმათა  
მათთასა, და ყოველთა გარდაცვალებულთა  
მათთასა, და მიანიჭე შენი  
სასუფეველი წმიდათა და რჩეულთა  
შენთა თანა, ამინ.

აბერკის აამბიკოები შეტანილთა  
კათალიკოსის არსენი ბუღმაისიმის  
ძის დიდს საგალობელში (იხ. ზე-

მე არსენის ვედრება). მისს შესახებ ცნობები არ შენახულა. თვით იშხნის ტაძარი მდებარეობს ცაიხის წყალსა და ტაოსკარს შორის. ტაოსკარი მე-VIII საუკუნიდგან ითვლებოდა ბაგრატიონების სავანედ და, ალბად, ამავე ხანებში აშენებულ იქმნა თვით ტაძარიც. იშხნის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა ისპირი, თორთომი და ბაღბურთი ტრანზიზუნტამდის. მეფის კურთხევისა და საღარბაზო ურიჯობის დროს იშხნელს ეჭირა მეშვიდე ადგილი საქართველოს 40 ეპისკოპოსთა შორის.

იშხნის ტყდარი ჰორტაიტის  
(ათონის) ღვთისმშობელის სახად  
იუო აკებული და მას ეკვედარი  
მიუღვა (1006 წ.) გურგენმა გა-  
ნახლა ტყდარი (1032 წ.) მამათ-  
მთავარმა მათემ. იშხანს შესწირეს  
მამულები მეფე დავით აღმაშენე-  
ბელმა და მისმა შვილმა დიმიტ-  
რემ. ამ მეფის დროს მთავარების-  
განჯის ანტონიმ იშხანს დააწესა  
აღაპი მეფე დიმიტრისთვის, მის  
დის თამარისთვის და შვილების  
გიორგისა და დავითისთვის.

ლა. ვედრება გრიგოლ სურამე-  
ლისა და მისთა მხედართა.

მოწყალებისა კარი განგვიღე, კურ-  
თხეულო ღვთისმშობელო, რათა, რო-  
მელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ,  
არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა  
მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხო-  
რება ნათესავისა ქრისტეანეთასა. უფა-  
ლო შეგვიწყალენ (იგ ჯერ).

ესრე ლოცულობდნენ გრიგოლ  
სურამელი და მისი მხედრობა შორს  
საქართველოდგან, აღმუთის სამ-  
ხედრო ველზე. 1231 გარდაიცვა-  
ლა რუსუდან დედოფალი, ასუდი  
თამარ ნეტარისა. ამ დროს საქარ-

თველთ დახურობილი ჰქონდათ თა-  
თარ-მონგოლებს. რუსუდანის სი-  
კვდილის შემდეგ საქართველო უმე-  
ფოდ დარჩა: დავით ლაშას ძე და  
დავით ნარინი რუსუდანის ძე ტუვე-  
ობაში იუვნენ. მათართა ნოინებმა  
(შმაართველებმა) ქართლი ჩააბარეს  
გრიგოლ სურამელს, კახეთ-ქიზიუი  
ეკარსლან ბაკურციხელს, სომხითი  
— ვარამ გაგელს, თორელს გამრე-  
კელს ჭავახეთი და სამცხე კარნუ-  
ქალაქამდე (არზრუმამდე), ცოტნე  
დადიანსა და რაჭის ერისთავს მთე-  
ლი იმერეთი, მანდატურთა-უხუცესს  
შანშეს — სომხეთი.

აქაურ ნოინებად იუვნენ ქარმა-  
ღან, ჩაღათარ, იოსურ და ბიჩვის.  
ამათ შეჭყარეს დიდი ლაშქარი,  
ქართველთა მხედრობა ოთხად გაი-  
ყვეს და წავიდნენ დასაპურობად  
აღმუთისა. ომმა შვიდს წელიწადს  
გასტანა. მოწინავედ ურველთვის  
ქართველებს აბრძოლებდნენ მათის  
სიკაიკაციისა და გულადობის გამო.  
შეწუხდნენ ფრიად აღმუთელნი,  
შეგულთანეს ერთი მუღიდი და  
დაავალეს რაიმე დონისძიებით მოყ-  
კლა ერთი ნოინთაგანი მაინც. მუ-  
ღიდი ლამის სიბნელეში შეიპარა  
ჩაღატარ ნოინის კარავში, მოჭკლა

იგი, შერე უჩინრად გამოვიდა და  
ბანაკის ახლო მეოთხე შამბნარში შე-  
ვიდა. ჩალატარის კარავის შორი-  
ახლო ებანაკა გრიგოლ სურამელი  
თავის მხედრობით. კათენებისას  
თათრებმა, ნახეს-რა მოკლულნი ჩა-  
ლატარ, სთქვეს: „ქართულები მო-  
ჭკლავდნენო“. ფიცხლავ შეისხეს  
იარაღი და გასწიეს ქართულთა  
ამოსახლად. გრიგოლ სურამელის  
დასი ფრიად შეშინდა და არ იცო-  
და, რა ექმნა: ეომნა თუ უფრად  
მტერს ხელში მისცემოდა. გრიგოლ  
სურამელმა თავისებს უთხრა: „არა  
აჩს, ძმანო, ჟამი ბრძოლისა, რა-

მეთუ ჩვენ მტრენი ვართ და ესენი  
უმრავლესნი არიან. უკეთუ ბრძო-  
ლა ვუოთ, უოველთა მოგვწუგედენ  
დიდით მტრემდის, და უკეთუ არა  
ვებრძვით, მე ვგონებ, ჩვენ უთა-  
ვადესთა მოგვწუგედენ და ამა ლა-  
შქართა არღარა, და უმჯობესცა არს,  
რათა ჩვენ-ოდენ მთავარნი მოგვ-  
წუვიდნენ და არა უოველი სიმრავლე  
მოისრნენ. გარნა შევრდომა ღვთი-  
სა ჯერ არს, რამეთუ არავინ არს  
მხსნელი ჩვენი, თვინიერ იესო  
ქრისტე, ძე ღვთისა, და უოვლად  
წმიდა მშობელი მისი, მარადის  
ქალწული მარიაჲ, რამელი იგი მა-

რადის მტველი არს მოსაგთა ძისა  
მისისათა და უმეტეს ჩვენ ქართ-  
ველთა ნათესავისა. აწ ყოველთა სამ-  
სამი მუხლი მოვიდრიკთ შეგრ-  
დობითა ყოვლად წმიდისა ღვთის-  
მშობლისა მიმართ და, წამელთა  
გუწეით, ვთქვათ შესხმა ესე მისი:  
„მოწყალებისა კაცი განგვიღე, გურ-  
თხეულთა ღვთის მშობელთა“ (და  
შემდგომი).

მატიანე განაგრძობს: დაასრუ-  
ლეს-რცა ქართველებმა ეს ლოცვა  
მუხლმყრით სამგზის, შამბნარ-  
დამ სიჩქარით გამოვიდა ჩაღატარის  
მკვლელი მუღილი და გრიგოლი

სურამელის დასის გარეშემო მო-  
სულ თათრებს უთხრა: „მან ქუშ-  
ტემ ჩაღატარ“ (მე მოვკალი ჩა-  
ღატარი). მუდიდთა შორის სარ-  
ჩინო მკვლელი ვარო, თქრო მომ-  
ცეს და ჩაღატარი მომაკვლევისო.  
შამბში დამალული ვიყავ, გარნა  
გამომეცხადა ვილაც ბრწყინვალე  
დეღაკაცი და მითხრა: „შენ მოჭ-  
კალ და უცოდველ ქართველებს-კი  
ბრალს სდებენო და ჭხოცენო, ადექ  
და გამომეუო“. გამოვეუვ და ახლა  
გიცხადებთ: ჩაღატარ მე მოვკალ  
და არა ქართველებმაო“. თათრებმა  
ირწმუნეს მისი სიტყვა. ქართვე-

ლები გადარჩნენ იმის მეოხებით,  
რომელსაც გულმხურვალედ შესთ-  
ხოვეს: „მთწყალებისა კარი გან-  
კვიდეო.“, და რომელიც დაუყოფ-  
ნებლად გამოეცხადა შამხნარში და-  
მაღუფს მკვლელს.

ლობ. ვედრება წმ. ლუარსაბ  
მეტუისა მოწამისა.

მ. დედოფალო ღვთისმშობელო,  
შენდამი დამიც სასოებაჲ ჩემი, შენ  
ხარ ნუგეშინის მცემელი ჩემი, შენ  
მომეც შეწევნა წამებასა ამის ჩემისა  
და შემოთე წმიდათა მოწამეთა უკნთა  
თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა  
და ძესა და წმიდასა სულსა.

ლუარსაბი ქართლის მეფე იყო.  
სპარსთა უღთო ყაენი შაჰაბაზ მე-  
მესია საქართველს, ცბიერებითა  
და მოტყუებით შეიპყრო ჯერ ისეუ  
ჭაბუკი მეფე, წაიყვანა სპარსეთს  
და იქ მოაშთობინა 1622 წ. 20  
მარტს. ეს ლოცვა წამების წინაღ  
კამოთქვა მან წინაშე თვისის ღვთის-  
მშობლის ხატისა, დაშთენილა მამა-  
ვასვლას ანდერძი, რომლის ძალით  
ლუარსაბის წმიდა ნაშთნი უნდა გადა-  
მოსვენებულ იქმნენ საქართველს  
მცხეთის სვეტიცხოველში დასაკრ-  
ძალაჲდ.

ლგ. ვედრება წმ. ქეთევან დე-  
დოფლისა მოწამისა.

შენ ღმერთსა სამებასა ერთარსსა  
და თანაარსსა გიცნობ, უცნაურსა და  
უხილავსა, ვერ შემძლებელი თქმად  
საკვირველებათა შენთა; შენ ბრძანე-  
ბითა შენითა შესძრავ მათათა და შე-  
არყევ საფუძველთა ქვეყანისათა, შენდა-  
მი ჰგალობენ მლალადებელნი ინდნი,  
ელინნი, ებრაელნი, ჰრონი და სხვა-  
ნი, ენისაებრ მათისა სიტყვიითითა ორ-  
ღანითა და სამუსიკითა ძალებითა.  
გვედრები, ზ, მეუფეო უფალო, ში-  
შნეული მძლავრთაგან, მცველთა ჰაე-  
რისათა, მომივლინე მე ანგელოსი  
მცველი სულისა ჩემისა და მიითვალე  
სული ჩემი და განწილე კარი სასძლოდ-

სა შენისა, და აღმრაცხე მე გუნდსა  
თანა მოწამეთა შენთასა. არა არს  
რიცხვი ცოდვათა ჩემთა და არცა ვი-  
სამე შენდამი მორწმუნეთაგანსა უცო-  
დავს ჩემებრ, და ვინაჲთგან ღირს  
შენდა აღსარებაჲ მონანულთა, აღვია-  
რებ ცოდვათა ჩემთა, ვითარმედ არა  
რადმე არს დაფარული თვალთაგან  
შენთა. გადიდებ აღსარებისამებრ შე-  
ნისა, შენ განჰკურნენ წყლულებანი  
ჩემნი, მოიხილე, უფალო, მიხსენ და  
მილხინე დროსა მას განხმისა წერი-  
ლისა გულთასა, მიეც ძესა ჩემსა მე-  
ფესა თეიმურაზს ძლევად და რომელნი  
ჰყოფდენ ხსენებასა ჩემსა, მიანიჰე სა-  
უკუნო სუფევად. მრწამს ჰეშმარიტად,  
ყოვლად წმიდაო ქალწულო უბიწოო.

ზობაჲ შენი და შენ, ქალწულ პირ-  
ველ და შემდეგ ზობისა, შემიწყალე,  
მორწმუნე განგებულებითა ძისა შე-  
ნისათა.

წმ. ქეთევან, ასუფი აშოთან  
მუხრანბატონისა, იუო დედა მეფე  
თეიმურაზ I-ისა. შაჰბაზ უაენი  
რომ ემუქრებოდა თეიმურაზს, მის  
დასაღმობიერებლად და დასამშვი-  
დებლად უაენის წინაშე წარსდგა  
ქეთევანი თავის ორის ძისწუფით.  
უაენმა სამივე დაატევევა (1616 წ.)  
და სპარსეთს წარგზავნა, ხოლო  
თითონ-გი კახეთს შეესია, დაან-

გრია, დაღეწა, მოიალათა და სხარ-  
სეთს დაბრუნდა. ამ დროს კახეთმა  
დაჭკარვა 230,000 სულად; ამათგან  
ზოგი გაუღიბა უდიერმა უაენმა  
და ზოგი გადასახლა სხარსეთს,  
საცა ახლაც ჭლახარაკობენ ქართუ-  
ლად. ქეთევანი წამებით მოჭკლა  
უაენმა 1624 წ., ხოლო ამას წინად  
(1620 წ.) მისივე მსხვერპლად  
შეიქმნენ წმ. ქეთევანის ძისწულნიც,  
ალექსანდრე და ლევანი წმ. ქე-  
თევანის ხსენებას დღესასწაულობს  
ჩვენი ეკლესია 13 ენკენისთვეს.

ლდ. შესხმა ყდ წმ. ღუთის-  
მშობლისა,

ზატრანის ქაიხოსროსი \*).

ორნატო აღმომცენებლო იფქლისა  
შის განმამტკიცებელისა გულთაო ტა-  
ბლაო მტვირთველო საშუებიტისა მის  
საუკუნესაო, საკუმეველო შეწირულო  
ღუთისაჲ ჩვენისათჳს მეოხებიტა მო-  
კუდავთა ამათ კაცთა ღუთისაჲ მი-  
მართ კადნიერებისა მიზეზო, საკსარო  
სოჴლისაო, დედაო მწყემსისა მის კე-  
ტილისაო, მათებელო მტერთა მათ  
უხილავთაო, განმხმელო კართა მათ  
სამოთზისათა, ძალო და სიმტკიცეო  
ქრისტეანეთაო, ცასკარო ღარიბულისა

---

\*) № 186.

მის სულ მცირისა დაულამებელისა მის  
დილისაო, მშობელო მზისა მის სი-  
მართლისაო, შენ მიერ უფალი იგო  
კაცთმოყვარე ქრისტე გამოგვიჩნდა  
მაცხოვრად, შენ ხარ აღდგომაჲ კაცთა  
და და ემაჲ ეშმაკთა, შენ ხარ სუეტო  
ნათლისა განმანათლებელი დაბნელე-  
ბულთა, შენ ხარ გვრგვნი სათნოეზა-  
თა, სახე ანგელოზთა ცხორებისა, შენ  
ხარ ხე შროშანი, რომლისა ჩრდილსა  
განისუინებენ მაშურალნი, მშობელი  
გამომკსნელისა მის ტყუეთასა, წინა-  
მძღვარი შეცთომილთა, შენ ხარ დამ-  
ტევნელი ღუთისაჲ დაუტევნელისა,  
შენ ქალწულებაჲ და შობაჲ შეაერთე,  
შენ მიერ სამოთხე განგველო, შენდა  
მოვივლტი კარო, წმიდაო, საწყალო-  
ბელი ესე, განაქარვენ ბოროტნი გუჲ

ლის ზრახვანი გულისაგან ჩემისა ნივ-  
თითა მაგით მადლისა შენისათა, გა-  
ნაგრილუ გონებაჲ ჩემი, რომელი გან-  
კურვებულ არს ეშმაკისაგან ტრფიალ-  
თა მათ, გამომიკსენ მე კორკისა მისგან  
ვეშაპისა, რომელსა აღუღიეს პირი  
მისი შთანთქმად ჩემდა. მრცხვენის მე,  
დედოფალო, სახელის დებად შენდა  
უღირსითა ბაგითა, მეშინის მე პატიუ-  
თაგან კადნიერებისათა, რამეთუ მე  
შეგინებული შეგივრდები, არა წმიდი-  
თა ბაგითა შენ წმიდათა უწმიდესი-  
საგან ვითხოვ მე წყალობასა, სადგური  
ყოველთა ვნებათა შენ სამკვიდრებელ-  
სა სულისა წმიდისსა შეგივრდები,  
უხეშთაეს ხარ ყოველთა დაბადებულ-  
თა ზეცისთა და ქვეყანისთა დიდებითა  
და პატივითა და მე ცოდვათა ჩემთა

სიმრავლისაგან უფროდს ყოველთა  
კაცთა დამდაბლებულ ვარ, ვითარ არა  
მეშინოდის მე შენგან ანუ ვითარ ვი-  
კადრო სახელის დებად შენდა, რო-  
მელი უცხო ვარ ყოველთა სათნოე-  
ბათაგან! რამე ვყო ეამსა ამას საწყა-  
ლობელმან ამან, რაეამს მოვიდეს ძე  
შენი და დაჯდეს განკითხვად და წარ-  
მომიდგინოს მე ყოველთაგან საქმეთა  
კეთილთა და სირცხვილელ ვიყო  
შენგან დედისა მისისა და ყოველთა  
ანგელოზთაგან, ღმ უმეტეს ყოველთა  
სა შენგან მეშინის, რამეთუ რომელსა  
იგი მუცელი შენი ავასხე შობად, მან  
ბუნებაჲ ჩვენი ღუთეებასა მისსა იზიარა  
ღმ გზანი ღინანულისანი გჩვენნა და  
კარნი სამოთხისანი განგვიხვნა და ყო-  
ველთავე მიგვიწოდს შესლვად, ხოლო

მე კმისა მისთასა არა ვისმინე, არამედ  
ნებასა ჩემსა მივჰყევ და გულისთქმა-  
მან ჩემმან შემაგინა და აზნაურებად  
იგი რომელი შენ მიერ მოგვეცა უბა-  
დრუკებითა ჩემითაჲ წარვაგე და გან-  
ზრახვითა ჩემითა მონა ვნებათა ვიქმენ;  
რათჳმს ძემან შენმან მოუწოდოს მრარ  
ვალთა და მიანიჭოს სასუფეველი, მა-  
შინ რალა მე ვქმნა საწყალობელმან  
ამან, ოდეს თქუას ნეფსით თვისით  
„დაემონა ეშმაკსა, აწ განკადეო ბნელსა  
მას გარეკნელსა, სადა არს ტირილი  
და ღრკენა კბილთა“ რალამე ვთქუხ  
ცოდვილმან ამან, დაღაცათუ ცოდნი  
ჩემნი ფრიად არიან, მოწყალებაჲ შენი  
უსაზღვრო არს. მე ყდ არა მიქმნიეს  
ნებაჲ შენი, არამედ შენდავე მოვი-  
ვლტი, რამეთუ ეძიებ შევკთომილთა

და არა გნებავს სიკვდილი ცოდვი-  
ლისა, არამედ მოქცევაჲ და სინანუ-  
ლი; ვითხოვე ყოვლად წმიდაო ღვთის  
მშობელო, გული ჩემი ლმობიერ ყავ  
და შიში ღვთისაჲ გულსა ჩემსა დაჭ-  
ნერგე და ცრემლთა ნაკადული და  
სიყვარული ძისა შენისა ჩემ შორის  
აღაორძინე ნებაჲ შენი და ნებანი ბო-  
როტნი განმაშორენ ჩემგან. 3, ცათა  
მეუფისა დედაო, რასა მთავრობს ჩემ-  
ზედა მპყრობელი ბნელისა, რომელი  
ესე შვილ ნათლისა ვიწოდე, და რაჲ  
აქუს მთავრობაჲ ჩემზედა, ქმნულნი  
ვარ კელთაგან ძისა შენისაჲთა და ხა-  
ტად მისა დაბადებული და მართლ  
აღმსარებელი სამებისა და აწ სამწ-  
ყოსა მისისაგან წარუყვანებიე მე მკეც-  
სა მას უწყალოდ განმრყენელსა, არა-

მედ მოიხილე ჩემზედა თვალითა მო-  
წყალებისათა და გამომიკსენ მე შუა-  
თაგან მისთა, მასწავე მე ჯეროვანი  
სინანული ყ<sup>რ</sup>დ დიდებულო, არამედ  
კაცთმოყვარებით და სიმშვიდით მას-  
წავე მონასა შენსა ნუ ცოდვითა ჩემ-  
თაებრ მომიგებ, არამედ წყალობით  
მასწავე ვედრებითა ძისა შენისაჲთა,  
რათა გადიდებდე ყოველთა დღეთა  
ცხორებისა ჩემისაჲთა. ამინ.

ვინ არის ეს ჰატრახნი ქაიხ-  
სრა, არა სჩანს. მის მიერ თქმუ-  
ლი შესხმა შეტანილია დიდს გუ-  
ჯანში (საეკლ. მუზ. № 186),  
რომელიც 1705 წელს კადუწერი-  
ნების გიორგი (მალაქია) ახაშიძეს

და შეუწირავს გარეჯის მონასტრისათვის. გუჯანში მრავალგან სწერია: „მომისხენეთ გენათელ მიტრეპოლიტი ჰატრონი ზაქარია ქვარიანი“.

ლე. ვედრება წმ. ნინოს ხატის წინაშე არჩილ მეფისა.

წმიდაო მოციქულო ნინო, მეოხ მეყავ ორსავე შინა ცხოვრებასა მეფესა არჩილს, რომელმან შევამკევ ხატი ესე და შემოგწირე სულისა ჩემისა საოხად და მეფობისა ჩვენიცა წარსამართებელად.

ეს არჩილ კახეთის მეფე იყო, იგი ერთხანს იმერეთშიაც მეფობდა. ღრმთა უკუღმართობამ იძულებულ ჰყო რუსეთს გადასახლებულ იყო თავის ცოლ-შვილით (ქეთევანი, ალექსანდრე, მამუკა და დარეჯან). რუსეთში მეფობისას იგი შეუდგა ქართულ დაბადების შემოკრებას და დაბეჭდვის საქმეს. შეჭრიბა კიდევ უფელა წიგნები, გარნა დაბეჭდვას ვერ ეღირსა. იგი გარდაიცვალა 1712 წელს. მან დაგვიტოვა ღირსსაურადღებო წიგნი „არჩილიანი“. ხატი, რომლიდგანაც გადმოვიღეთ აქვე აღბეჭდილი

ლოცვა, ეკუთვნის სიონის საკრებულო ტაძარს (იხ. ჩვენ მიერ შედგენილს სიონის კატალოგში, № 13). ხატის ზემო პირზედ გამოსახულია ღვთისმშობელი მარიამ და ქვემო პირზედ წმ. ნინო. ორივე მხარე შემკულია ძვირფასის თვლებითა, გვირგვინებითა და მოჭედოვან რქოს კვანძებით

ლვ. ვედრება მთავარეპისკოპოსის ევდემონისა \*).

ჰ, დიდებულო ღვთისმშობილო, ვინ მომცეს მე სიტყვაჲ ღირსად დიდებისა შენისა არამედ შენ, მღვდლო-

\*) საეკლ. მუხ. № 491.

ფალო ყოველთა კაცთაო და საღთო-  
სა მის სიბრძნისა და სიტყვისა დამ-  
ტევნელო პირველისა მის ყოველთა  
მიზეზისა, & ცხორების მომნიჭებელო  
და ცხოველთა ცხორებაო და ცხო-  
რებისა მიზეზო, & წმიდაო წმიდათაო  
უწმიდესო და ყოვლისა სიწმიდისა  
საუნჯეო ნაწილად (?) და უბრწ-  
ნელად შემაერთებელო წმიდათაო  
(?) ღუთისა თანა, რომელსა ზეცისა  
დიდებისა მიერ სიმტკიცე უძლეველი  
მოგიღებეს. & ქრისტეანეთა სარწმუ-  
ნოებისა გოდოლო და შენთა მოსაგთა  
შემწეო. შეიწირე ჩემ მიერ, რომელსა  
ესე ქრისტეანობისა ნათელი შენ მიერ  
მომიღებეს უძლურნი ესე სიტყვანი  
და ნაჩხიბნი და ნაოჭნი ჩემნი და  
მითხოვე ძისა შენისაგან წყალობაჲ

ცოდვის მთავრეთისკაზრის ევ-  
დემონს, რამელმან აღვწერენ ძლის-  
პირნი და ღუთის მშობელნი სიბუ-  
რისა უამსა სანახებსა წმიდისა დაჟით  
გარეჯისსაჲ ქკს. ტპ.(=692 წ.).

ლზ. ვედრება ყლ წმ. ღუთისა  
მშობლისადმი ლევან ბატონი-  
შვილისა.

ჰი, ყლ უბიწოლ და ყლ წმიდალ  
დედოფალო ჩემო ღუთისმშობელო,  
ვითარითა ენითა და სიბრძნით გაქო!  
უკეთუ ხმა საფირონისა, ენა ბუღბუ-  
ლისა, გალობა შროშნისა მექმნეს,  
ვერცა მაშინლა ვგონებ ღირსად სიტ-  
კბოებისა შენისა თქმად; უკეთუ წი-

ნასწარმეტყველება დავითისა, ეზეკი-  
ლია და დანიელისა მქონდეს, ვერ-  
ცალა მაშინ ღირსვარ ჯეროვნად ქე-  
ბად შენდა; უკეთუ სიბრძნე სოლო-  
მონისა, იპოკრატე და არისტოტელისა  
მქონდეს, ვერცალა მაშინ შემძლებელ  
ვარა; უკეთუ ნეტართა და ღირსთა  
იოვანე, ოქროპირის, ბასილისა და  
გრიგოლის მართლმადიდებელი სიბრ-  
ძნე და ნეტარება მქონდეს, ვერცალა  
მაშინ შემძლებელ ვარა, რამეთუ იგი-  
ნივე იტყვიან: „ვითარცა თევზნი  
უქმნი ვერ შემძლებელ ვართ მსგავს  
ქებად შენდა“. ხოლო მე ცოდვი-  
ლი და ცოდვის მსგავსად დასჯი-  
ლი ვითარ შემძლებელ ვარ ქებად  
შენდა უშვერის ბაგითა, უნანელის  
პირითა, უცნობოსა და უბადრუკის

გონებითა! არამედ ვიცი, კაცთმოყვარეო, ამათ უნანელისა პირითა წარმო-  
თქმულს ვედრებას შეიწირავ, დედაო  
უფლისაო! მოწყლული მტერისაგან  
განმკურნე, რათა ვადიდებდე ყდ პა-  
ტიოსანსა სახელსა ძისა შენისასა და  
მაცხოვრისა ჩემისასა, მამისა და სუ-  
ლისა წმიდისა თანა ყოვლადვე აწ და  
მარადის, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლევანი იუო მეფე ვახტანგ V-ის  
(1658—1675 წ.) შვილი. მას  
დიდი განათლება მიეღო და წარ-  
ჩინებულ ღვთისმეტყველად და სა-  
ხელგანთქმულ მსაჯულად ათვლე-  
ბოდა. დომენტი კათალიკოზი რამ

მიიტყვალა 1675 წ., სვეტიცხოველის გამგეობა ახალ პატრიარქის ამოწმებისთვის მას ჩააბარეს. ამ დროს სვეტიცხოველსა და „ჩრდილოეთის კერძ მთავარანგელოზის ეკლესიას შუა მცირე რამ ნაშენი იყო და მასში გამოდიოდა სამოციქულო საყდრის სამხრეთის ბჭეც“. ეს შენობა განაახლა მან და კამარით გადააბა დედაეკლესიასთან და თავის სამარხოდ შექქმნა, რადგან შიგა სვეტისხეობებში დასაფლავების დი-რსად არ მიაჩნდა თავი თვისი. ეს შენობა — ეკვედერი ჯერ არ და-სრულებინა, რომ მოუკვდა მეუღ-

ლე, თუთა, ასული გურიელისა.  
მისი გვამი ამ ეკვედერში დაკრძა-  
ლა. ეკვედერის შესანახად და მას-  
ში განუქრობლად ლამზრების და-  
საწველად ლევანმა შესწირა სოფე-  
ლი ხატისსოფელი და ეკვედერის  
გამგეობა ჩააბარა მღვდელს გულ-  
ჯაფარაშვილს ღვთისიას. შესწირა  
აკრეთვე მრავალი საგანძურიც \*).  
ლევანისა და მის ძმის გიორგი

---

\*) ეს ცნობები და ლევან ღვთის-  
მეტყველის ლოცვები ამოვიღეთ სა-  
ეკლ. მუხ. წიგნთსაცავის გუჯრიდამ  
№ 30, რომელსაც ცალკედაც დავბე-  
ჭდავთ სრულად.

მეფის მეოხებით ქართლის სამეფო  
დიდს წარმატებას მიაღწია. უაგნს  
ეკლად ესობოდა ქართლის სიკეთე  
და ლევანი მოსთხოვა მეფეს. გი-  
ორგი მეფე ვერ სთმობდა ლევანს,  
განხადიძეებულ იქმნა წარეგზავნა  
(1688 წ.). ლევანი იქ დარჩა დიდ-  
ხანს. უაგნმა მას მსაჯულთა უხუ-  
ცესობა მისცა. 1703 წ. ივლისს  
უაგნმა იგი გამოისტუმრა ქართლს,  
რათა დაეხმაროს მასსავე შვილს  
ვახტანგს სჯულმდებელს სამეფოს  
მოწესრიგების საქმეში. ლევანმა  
დაჭყო იქ 15 თვე. გაარიგა და  
განაგო, რადგინ გასარიგებელი იყო

და 1704 წელს ენკენისთვეს ისევ სპარსეთს დაბრუნდა, და იქვე გარდაიცვალა (1709 წელს, მაისში). 1705 წლითგან საქართველოს კათალიკოზად დაადგინეს ლევანისძე დომენტი, რომელიც 1707 წელს წავიდა ისპანს უაენისა და მამის სანახავად. ლევანის სიცოცხლეშივე ქართლს განაგებდა მისი შვილი ვახტანგ VI, რომელიც შემდეგ მეფედ შეიქმნა.

ლს. ველრება იოვანე წინამორბედისადმი მისივე.

ლმობილი სულითა, დაბნელებული გულითა, დანთქმული ცოდვითა შე-

გივრდები და გილალ დებ, # ყდ დიდებულო წინასწარმეტყველო ღ წინამორბედო, ნათლისმცემლო, ჯოჯოხეთს მყოფთა სიხარულის მიმღებლო, სინანულის მქადაგებულო და ცოდვილთა მეოხო, დელვა-გვემულთა ნუგეშინისმცემლო, უდაბნოს ყვავილო, შროშან შვენიერო, ქადაგო მაცხოვრის მოსლვისაო, სანატრელო (ღ შვიდგზის სანატრელო!), რომელ ღირს იქმენ ძისა და უფლისა ნათლისცემად, რომელ მკადრე იქმენ შეხებად კელსა შენსა თავსა მაცხოვრისასა, ჰე წმიდაო (და რაოდენ წმიდაო), რომელ ესე ვითართა ღირსებათა მიიწიე დიდება დამბადებელსა ღმერთსა, რომელმან ესე ვითარი გამოგაჩინა ადამიანთა შინა. დიდება და კურთხევა აურაც-

ხელსა მოწყალებასა ღვთისასა, რომელ  
ყოველთა ნაშრომთა დედათა უმჯო-  
ბეს წარმოგადგინა მეოხად ჩვენ ცო-  
ღვილთათვის, რათა ყოველნი ცოღ-  
ვილნი ოხითა შენითა დავიხსნათ და  
უფროსდა მე, რომელ უმრავლეს არს  
ცოღვა ჩემი, უფროს ყოველთა თეს-  
ლებთა უკეთუ არა მეწინეთ, დედა  
უფლისა ჩემისა მეოხ ჩემდა არს და  
შენ მასთანა მეოხ და შემწე მექმენ,  
ნუ დანებებულ მყოფ კელთა ეშმაკი-  
სათა სიყვარულისათვის ქრისტესისა  
ღ კაცთმოყვარებისათვის მისისა ღირს  
მყავ დადგომად მარჯვენესა უფლისასა,  
მკვიდრ სასუფეველსა ცათასა ქრისტეს  
იესოს მიერ უფლისა ჩვენის, რომლისა  
არს დიდება უკუნითი უკუნისამდე.  
ამინ.

ლო. ვედრება იოვანე ღვთის-  
მეტყველისადმი მისივე.

საყვარელო ქრისტეს მეგობარო,  
ღირს ქმნილო ძედ წმიდისა ქალწუ-  
ლისაო, ძმად ქრისტესო, საფუძველო  
ქრისტეს სარწმუნოებისაო, მკერდს  
მიყრდნობილო მაცხოვრისაო, მახარე-  
ბელო ქრისტეს საიდუმლოსაო, მო-  
ციქულო ქრისტეს სარწმუნოებისაო,  
წმიდაო ყ<sup>რ</sup>დ ქებულო იოვანე ქადაგ  
მაცხოვრისაო, ძეო ქუხილისაო, სინა-  
ნულად მომყვანებელო, ცოდვილთა  
განმანათლებელო, წარმართთა განმა-  
ქარვებელო და ზღვასა დამთქმელო  
მბრძოლთა ქრისტიანეთაო,—მსწრაფლ  
მეწიე ზ განმარინე უხილავთა მბრძოლ,  
თაგან ცოდვილი, ცოდვილი ძედ სი-

ნანულისა მყავ, რათა სული ჭ კორ-  
ცი ჩემი შემივედრებია კელთა დედისა  
უფლისა და მაცხოვრისა ჩემისათვის  
და რათა შენ საყვარელ მოწაფე ძისა  
მისისა და ძედ წოდებული მისი,—  
ამის პირისათვის მკადრე ვიქმენ ვედ-  
რებად შენდა, რათა შენცა მისთანა  
მექმენ მეოხ და მსწრაფლ შემწე, რა-  
თა საწუთროსა ამას სინანულად და-  
მადგინე და განსლვისა სულისა ჩემი-  
სასა უშიშრად მივსენ უბილავთა მტერ-  
თა და ჰაერის მცველთა კელთაგან,  
წიგნსა ცხოველთასა ჩაწერილ ღირს  
მყავ და მკვიდრად ახლისა იერუსა-  
ლიმისა, გამომაჩინე სამწყსოდ კეთი-  
ლისა მწყემსისა, რათა მპარავმან ვერა  
წარმიპაროს და ვიქმნეთ აღრაცხილ  
საყდრისა და კრავსა უბიწოსა წინაშე

მდგომელთა თანა, ოხითა და შეწვე-  
ნითა თქუენითა მადლითა და კაცთ-  
მოყვარებითა ქრისტეს იესოსითა,  
რომლისა არს დიდება დაუსრულებე-  
ლი მამით და სულით წმიდითურთ  
უკუნითი უკუნ სამდე. ამინ.

## მ. ვედრება პეტრე-პავლესადმი მისივე.

ცოდვათა მიერ მოწყლული, უბა-  
დრუკებით აღსავესე მოვილტი თქვენ-  
და, ზოი წმიდანო და ყდ ქებულნო  
მოციქულნო ყოვლისა სოფლისანო,  
პეტრე, თავო მოციქულთაო, სამოთ-  
ხის კლიტეთა მკირაო, და პავლე,  
პირო ქრისტესო და მოძღვარო წარ-  
მართთაო, და სხვანო ყოველნო მო-

ციქულნო, ლამპარნო დაუშრეტელნო  
კიდეთა სოფლისათა, რომელთა მოი-  
ნადირეთ ყოველი სოფელი, ჰქმენით  
სამებისა თაყვანისმცემელად. ეჰა სა-  
ნატრელნო და უდიდეს სანატრელნო,  
რომელნი ღირს იქმენით უფლისა  
თვითმხილველ და კელით მსახურ,  
რომელ თვით უფალმან გიბრძანათ,  
„თვალნი თქვენნი ნეტარ არიან, რა-  
მეთუ ხედვენ, ყურნი თქვენნი, რამე-  
თუ ესმეს; ამინ, გეტყვი თქვენ, მრავალთა წინასწარმეტყველთა და მე-  
ფეთა გული უთქმოდა ხილვად და  
ვერ იხილეს, რომელსა ხედავთ“. დი-  
დება სიმაღლედ აღწევნასა თქვენსა,  
რომელ თვით უფალი საცნაურ ყოფს  
თქვენსა პატიოსნებასა, რომელ უზეს-  
თაეს მამათმთავართა იქმენით, უჰა-

ტირსნეს წინასწარმეტყველთა გამო-  
სჩნდით, უშარავანდეს მეფეთასა გა-  
მობრწყინდით; ესოდენსა პატივსა აღი-  
წიენით, რომელ უფალი ჩვენი იესო  
ქრისტე ოდეს მოვალს განსჯად ცოდ-  
ვილთა და მკუდართა, თქვენცა გან-  
კითხვასა მას ათორმეტთა საყდართა  
მჯდომელ იქმნებით განსჯად ათორ-  
მეტთა ტომთა ისრაილისათა. კურთ-  
ხეულმცა არს უფალი, რომელმან გყოთ  
თქვენ მოწაფედ თვისად, რომელმან  
ესე ვითარსა პატივსა აღგწივათ, დი-  
დებულმცა არს დიდება მისი, რომელ  
კაცთმოყვარე არს და კაცთმოყვარე-  
ბისთვის თქვენ მეოხ ჩვენ ცოდვილ-  
თათვის გყოთ. შეუვრდები წმიდათა  
ფერკთა თქვენთა ცრემლით და გვეფ-  
დრები, რათა მოწყლული ესე გამ-

კურნოთ და ოდეს უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე განსჯად ცხოველთა და მკვდართა მოვიდეს, წიგნი აურაცხელთა ცოდვათა ჩემთა დასთრგუნოთ და მეოხ და შემწე მექმნეთ და ცოდვანი ახოცნეთ ღ ღირს მყოთ მეუღლით ჩემით დადგომად მარჯვენესა უფლისა და მაცხოვრისა ჩემისასა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ უკუნითი უკუნისამდე ამინ.

შა. ვედრება წინასწარყველთა-  
დმი მისივე.

მგლოვარე ცოდვითა, ურვილი ბრალითა, დასჯილი მწიკლოვანებათა მიერ ტირილით ღ ვაებით ვხმობ თქვენდა

მომართ, წმიდანო წინასწარმეტყველ-  
ნო და მამადმთავარნო, რომელნი მა-  
დღითა მამისათა, ძალითა მისითა და  
ნათლითა სულისა წმიდისათა სავსე  
იყვენით და კვალადვე ხართმცა, და  
თვითეულმან თვითო სახით, რწმუნე-  
ბითა სულის წმიდისათა, იწინასწარ-  
მეტყველეთ ძისა და უფლისა ქვეყნად  
განკორციელება და ცოდვათა ჩვენთა  
აკოცა. ეჭა განსაკვირვებელი სიყვარ-  
ული ღვთისა თქვენ ზედა, რომელ  
ანგელოზთაგან უცნაური საიდუმლო  
თქვენგან მხილებულ იქმნა. უკეთუ  
მოწყალესა ღმერთსა ეგდენი უყვარ-  
ხართ, დახსნა ცოდვათა ჩვენთაცა ძალ  
გიცთ. ზი, გვედრები, რათა მეოხ  
გვეყოთ, წინაზე ღვთისა გვიპატიოთ  
ცოდვათა ჩვენთაგან, ღირს სასუფევე-

ლისა გვეავთ ჩვენ მადლითა და წყა-  
ლობითა უფლისა ღმაცხოვრისა ჩვე-  
ნისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს  
დიდება, პატივი ღმთაყვანისცემა უკუ-  
ნითი უკუნისამდე. ამინ.

მმ. ვედრება წმ. ჯვრისა მისივე.

ცხოველსმყოფელო ჯვარო პატიო-  
სანო, რომელსა ზედან განიპყრნა უბრ-  
წნელნი მკლავნი თვისნი ქრისტემან  
ღმერთმან ჩვენმან და გვეყო ბეჭდად  
და საჭურველად ქრისტიანეთა, მეფე-  
თა სიკადულო, მღვდელთმოდვართა  
შვენიერებაო, მოწამეთა სიმტკიცეო,  
საჭურველო ყოვლად ძლიერო, ეშმაკ-  
თა წარმდევნელო, მტერთა დამთრგუნ-  
ველო, ცოდვათა გამქარვებელო, სხე-

ულთა მკურნალო, — მექმენ საჭურველ  
სულისა და განმკურნებელ ხორცისა,  
განმაქარვებელ ცოდვისა ჩვენისა, წარ-  
მდევნელ ეშმაკისა, ჩემზედა საცდუნ-  
ლად განმზადებულისა, დამბეჭდე ძა-  
ლითა შენითა, რათა ვერსადით გან-  
მხსნას და წარმიპაროს ბოროტმან  
მპარავმან, რათა ღირს მკვიდრად გა-  
მოგვაჩინოს სასუფეველსა ცათასა ქრის-  
ტეს იესოს მიერ უფლისა ჩვენისა,  
რომლისა არს ღიდება უკუნითი უკუ-  
ნისამდე. ამინ.

მგ. ვედრება ანგელოზთა და  
მთავარანგელოზთა მისივე.

ეჰა, წამისყოფითა აღმასრულებელ-  
ნო ბრძანებისა ღუთისა ჩემისანო, სა-

კუთარნო მსაზურნო ღუთებისანო, წინაშე მდგომარენო მეუფისანო, მგალობელნო დაუღუმებლად დამბადებელისანო, კადნიერად მეოხნო და შემწენო ქრისტიანეთანო, ცოდვილთა ხელისა მპყრობელნო და დამხსნელნო ეშმაკთა საცთურებისაო და სინანულად მომყვანებელნო წმიდანო ანგელოზნო და მთავარანგელოზნო მიქაელ და გაბრიელ, მთავრობანო, უფლობანო, საყდარნო, მრავალთვალნო ქერობინნო და ექვს-ექვს ფრთენო სარათინნო, საფარველსა ფრთეთა თქვენთასა შემზღუდენით და მექმნენით შემწე და მხსნელ ბილწთა ეშმაკთა საცთურებისაგან, განსლვასა ამის ცოდვილისა და უნანელისა სულისა ჩემისასა მიხსენით ბნელთა ჰაერის მცველ-

თავან და ღირს სინანულისა მქენით,  
რათა ოხითა ჭ ვედრებითა თქვენითა  
ღირს ვიქმნათ მარჯვენესა უფლისა  
ჩვენისა იესო ქრისტესსა და მკვიდრ  
სასუფეველსა ცათასა ქრისტეს იესოს  
მიერ, რომლისა არს დიდება უკუნ-  
ნითი უკუნისამდე. ამინ.

მდ. ორი ლოცვა ერთად \*)

დავით გურამიშვილისა.

მამო, ყოვლის მპყრობელო, ღმერთო  
მოწყალეო!  
ჩვენო გამაკაცებელო, შემქნელ და მბადეო!  
რომელი ხარ ცათა შინა არსის საყდარზეო,  
წმინდა არსი მაგალობე, შენი ჯო-მეო.  
იყავნ ჩემზედ მოწყალებით, შენ დამიფარეო;  
ხახელისა შენისათვის აწ მომეკმარეო;  
შენი უხვი მოწყალება შორს ნუ წამგვარეო,

\*) 1-ლ სიტყვებში იკითება „მამო  
ჩვენო.“

მოვედინ მოწყალებითა, ისევ შემყარო!  
სუფევა წარმოავლინე, მაღლი მომთინეო;  
შენი გაჩენილი ვარ და შენ დამარჩინეო!  
იყავნ ნება შენი ჩემზედა, ჩემო მეუფეო,  
ჯითარცა პირველ მამათა შენ უწყალობეო:  
ცათა შინა ისრაელთა საზრდო უწვიმეო,  
ეგრეთცა ნათლის სვეტითა დამე ავლინეო,  
ქვეყანასა ვარ უცხოსა დაკარგული ტყვეო,  
ზედა მთასა ავართა ა აწ მომეშველეო,  
პური არა მაქს, მიბოძე, მშინან მაქამეო!  
ჩვენი შენგნით მოცემულირად დამიმალეო?  
არსობისა პურს გამყარე, შამბი მაძოეო.  
მომეც, გვედრებ, შენი ვალი გარდაიკადეო!  
ჩვენ გცოდეთ და შენ შეგვინდევე სულ-  
გრძელ მოწყალებო.  
დღეს სადილად არა მაქვს-რა, გამომიჩინეო,  
დავიკრიფე ყვავის-ფრჩხილა და ისრ ვსქა-  
მეო  
მომიტევენ შეცოდება, თუ რამ შეგცოდეო,  
ჩვენთანა შენი წყალობა ნუ განაქარვეო,  
ნადებნი ძველნი საკმ ღნი ნუ განგვიახლებო,

ჩვენნი მსხვერპლი კაენისას ნუ მიაშვავსეო,  
ვითარცა აბელ მართლისა შენ შეიწირეო.  
ჩვენ მიუტყევბთ თუ ძმათა, შენ მოგვიტყე-  
ვეო!

თანამდებთა გარდავიკდით, მივსცემთ რა-  
ცა გვძეო,

მათჩვენთა აღნადგინებთა სხვათა ნუ აძლეო.  
დამზადებელო მიბოძე, ეს რაც ვითხოეო,  
ნუ შემიყვანებ ღრმა ზღვათა, რომ არ  
დავინთქეო!

ჩვენ შენად სადიდებელიად მთლად განგვა-  
რინეო,

განსაცდელსა მოგვარიდე, კარგო მენავეო,  
არამცდ მიკსენ, ვით მოსეს შუა განუპეო!  
ჩვენო მოწყალეე! ეს ძღვენი გიძღვენ  
დავით მეო,

და ბოროტისგან დამიხსენ ყოვლად ავით  
მეო!

რამეთუ გცოდე უფალო, ვითხოვ შე-  
მინდგო!  
შენი ვარ მონა წყალობა შენ მე დამმარ-  
თეო.  
არსიდა მყავს მისამართი, მე შენ მოგმარ-  
თეო,  
სუფევა შენი მშვიდობით გამოავ "ინეო:  
ძილო და ღონე მიბოძე, მტერთა ვეყო  
მრეო.  
დიდება შენდა ნათელო, ერთო სამ-სახეო!  
მამისა აბრამისასა სტუმრად მსხლომარეო,  
დაბერებულთა მათ ბერწთა შვილით ახა-  
რეო,  
ძისა მათისა ისაკით ძე შოასწავეო.  
დამმარხველს, დამტირებელსა ვითხოვ,  
მიბოძეო!  
წმინდისა სამეგბისაო მ დლო დამფ რეო,  
სულისა ჩემის საოხად, რაც ვთქვი, მაკმა-  
რეო.

აწ დავით იტყვის: დიდება შენდა მეუფეო,  
მარადის და უკუნითი უკუნისამდეო!  
ამინთე მე ბნელს სანთელი და მომინათეო,  
და დავით მე შენ გავედრები გზა წარმი-  
მართეო!

დავით გურამიშვილი დიდი მწე-  
რალია. შოთა რუსთაველის შემდეგ  
საქართველოს ამისთანა მკოხანი არ  
დავხვდებიან. სოფელ ღამისყანას  
იგი დაატყვევეს ლეკებმა და და-  
დისტანს წაიყვანეს. იქიდგან გაი-  
ზარა იგი და წავიდა მოსკოვს  
(1730 წელს), საცა იმოდგაწა  
1787 წლამდე. მან, სხვათა შო-  
რის, დასწერა ჩინებული ლექსები —  
„დავითიანი“.

მე. ვედრება ჯვარცმის ხატის  
წინაშე პეტრე ლარაძისა.

იესო ჩემო, ღმერთო, მამა-კაცო სრულო,  
რომელ ჰხმობდ ჯვარსა; დიდება შენდა  
მკულო,  
ტკბილო ხელმწიფევ, ძელზედა ხელ-გან-  
როხმულო,  
გთხოვ, ურიათაგან ჯვარზე დამსკვალუ-  
ლო,  
მცავებრ მკურნე, ქალწულით ხორც შე-  
სხმულო.  
ვხედავ რა, ტკბილო, შენს ძელს ზე ხელ-  
განპყრობას;  
ხელით და ფერხით, გვერდითურთ სისხლ  
არ მცრობას,  
ეკლის გვირგვინით ტვინსა განმწონელს  
ლომობას,  
ძრწოლით ვადიდებ, შენს საღთოს განმგე-  
ობას,

ვხმობ მარჯვენისებრ ღირს მყავ სასძლოდ  
სერობას.

ჯვართა შავით, მხნელო, ადამ იხარებს,  
ევა განსცხრების, სატანა ილმობს, იმწა-  
რებს,

კაცთა ბუნება, ხსნილი, ჯვარს ინეტარებს,  
ხოლო მე ცოდვით აღსილი, ვღვრი  
ცრემლთ ღვარებს.

იესო, მიხსენ, ნუ დამსჯი ცეცხლსა მღუ-  
ღარეს;

ჰეტრე ჯარაძე მე XVII საუ-  
კუნის მწეკაჯია.

მე. ლოცვა მეფის ერეკლე  
მეორისა.

ვაჲ ჩუხნდა, რომე შეგცოდეთ შენ,  
ღმერთო; ვაჲ ჩუხნდა, რომე განგა-  
რისხეთ, შენ უფალო.

ვაჟ, რომე ურჩ გექმნენით ჭ გარ-  
დავხედით ბრძანებათა შენთა.

ვაჟ, რომე მოვჰკუპდით ცოდვთა  
და ამით არღარა მოგიგეთ შენ ღმერ-  
თად ჩუჰნ შორის მოწოდებითა, ვი-  
ნაიდგან არა ხარ ღმერთი მკვდართა,  
არამედ ცხოველთა.

ვაჟ ჩუჰნდა, დამბადებელო ღმერ-  
თო, რომე ყოველივე შენ მიერ მო-  
ცემული კეთილი უგულებელს ვჰყა-  
ვით.

ვაჟ ჩუჰნდა, შემოქმედო, რომე  
გზასაგან კეთილისა გარდავხედით:

ვაჟ ჩუჰნდა, რომე დავსდექით  
გზასა ზედა არა კეთილსა და ბორღ-  
ტი არა მოვიწყინეთ ჩუჰნ.

ვჰსცოდეთ, ვჰსცოდეთ ცად მიმართ  
და წინაზე შენსა უფალო ღმერთო.  
არამედ გვილხინე, გვილხინე და მო-  
გვიტევენ ყოველნივე შეცოდებანი ჩვენ-  
ნი, ნებსითნი და უნებლიეთნი (ზ გზის).

ღმერთო, გვილხინე ჩუპნ ცოდ-  
ვილთა ამათ და შეგვიწყალენ ჩუპნ  
(ზ გზის).

დიდება შენდა, და მადლობა, და  
თაყვანისცემა შენ, მარადის მოწყა-  
ლო, და მხსნელო, და მფარველო  
ჩუპნო, რომელმან გვიხსენ ჩუპნ ზე-  
და მოწიენილთა განსაცდელთაგან. და  
აწ ნებისამებრ შენისა იყოს ცხოვრე-  
ბა ჩუპნი და დაგვამტკიცენ ნებასა  
შენსა ზედა უკუნისამდე.

ერეკლე მეფის წინადასჯილ სჯილ  
სამ სამეფოდ და მრავალ სამ-  
თავროდ და სჯერისთავოდ გაუ-  
თილიყო. მტერი მოჭსეოდა ქვეყ-  
ნას და მუსრს ავლებდა. ერეკლეს  
მამაცობამ ამერეთის სამეფოები  
შეაერთა, სჯერისთავების დამოუკი-  
დებლობა მოსპო, მოსეული მტერი  
გარეკა, სამეფო გაამაგრა, გა-  
ძლიერა, ააუვაგა განათლება, აღბე-  
ჭდა მრავალი წიგნი, დაასრსა სე-  
მინარიები და სჯეკლესიო სსწავ-  
ლებელნი, მსახიობთ მოვარეულობა  
გაუწია, აღმოაჩინა ახტალას ვერ-  
ხლის მადანი, ააშენა სსსახლები

და ციხე კოშკები. მხოლოდ 1795 წელს დამარცხდა და ამ დამარცხების მიზეზი იყო შინაუჩოთა და კარეშეთა ჯალატი. თუ არა ეს დამარცხებაც, ამბობს თანამედროვე მწერალი, ერეკლეს გვამს, მისის სიკვდილის შემდეგ († 1898 წელს), წმიდა ნაწილებად დაიტაცებდნენ. ეს ზემო დაბეჭდილი ლოცვა მეფეს გამოუთქვამს 1795 წლის შემდეგ, როდესაც მტრები მოსვენებას არ აძლევდნენ მისს სამეფოს.

მზ. შესხმა ღვთისმშობლისა  
თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ.

ანგელოზნი გტრფიალობენ, ყოველთ  
ქალწულთ მზისა თვლო,  
მსასოებელთ-მშიერთ საზრდოვ, მორწმუ  
ნეთა სნეულთ ძალო  
შენ ასულო ღვთისა მამის, მისა დედავ  
სულის სძალო,  
ზოლტოლვილი ცოდვილ ცრემლით,  
გთხოვ მხურვალედ, შემიწყალო!

ეს შესხმა თქმულია მეფის გი-  
ორგი მე-XII-ის (ქ 1800 წელს)  
ძის თეიმურაზის მიერ. თეიმურაზი  
იყო ისტორიკოსი და სამშობლოს  
კეთილდღეობის მოტრფიალე.

მს. შესხმა ღვთისმშობლისა  
ბესარიონ გაბაშვილის მიერ.

ჯეროვანი ქება შენი არვის ძალ-უძს  
ღვთისა სძალო!  
ჯუმლად შეპკრბენ ანგელოზნი, ხორცი-  
ელნი კაცნი, ქალო  
ჯერ-არს გიძღვნა კიმკასი, სუნნელ-ყვა-  
ვილ მურ შტახს, ალო,  
ჯვარცმულისა წმინდავ დედავ, ცოდვილს  
მკურნე დედოფალო.

ეს შესხმა გამთქვა ბესარიონ  
გაბაშვილმა, ერეკლე მეორის დროის  
შესანიშნავმა და სახელგათქმულმა  
მწერალ-მგოსანმა. მ. ბროსსე მას  
ადარებს ევროპიელთა გამოჩენილს

მწერლებს. ქართული ენა მას ისე-  
ვე ემარჯვება, ვითარცა სტეფანე  
მტბეგარს (918 წ.), მიქელ მო-  
დრეკილ (X საუკ.), იოანესბერაძეს  
(მე-X საუკ.), ეფთვიმე მთაწმინ-  
დელს (1028 წ.), შოთა რუსთა-  
ველს (მე-XII საუკ.), ჩახრუხაძეს  
(მე-XII საუკ.), კათალიკოზს არ-  
